# თვალი +

ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

№ 2 (50) თებერვალი 2015წ.



სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრის „აისის“ ერთ - ერთი უმთავრესი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობაა. უკვე „აისის“ ბაზაზე ფუნქციონირებს სოციალური საწარმო „აისის სამკერვალო“, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იძენენ დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ისინი ჩართულნი არიან სამკერვალო საქმის სხვადასხვა აქტივობებში. დღეს სოციალურ საწარმოში იკერება სამედიცინო დაწესებულებებისთვის უნიფორმები და თეთრეული.



აღდგენილი სამართალი ..................................................2
ადაპტირებული ბაგა-ბაღი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ..........................3
განათლების სამინისტრო მზადაა, ნებისმიერ საჯარო სკოლაში ინტეგრირებული კლასი გახსნას .....................3
პაატა ბურჭულაძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბოდიში პირადად მოუხადა .......................4
„რუსთავი 2“-ის გადაწყვეტილება ძალზე სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის ..............5
შეხვედრა საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითდასაქმების ხელშესაწყობად ..................................................5
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირში .........6
ჯანდაცვის და სოციალური საქალაქო სამსახურის პრიორიტეტული პროგრამები .........................................6
„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის„ (MAC) გაწეული მუშაობა საქართველოსთვის .............................8
საქართველოს სოლიდარობის ფონდი ............................ 11
მხოლოდ ერთი სანუკვარი ოცნება მაქვს - მინდა, რომ სიარული შემეძლოს“ ......................................................14
ნიჭიერი ეტლში ..............................................................16
როგორია შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში? ..........................................17
ზუსტად ექვსი წლის წინ ...............................................16
100-ზე მეტი ბავშვი ადრეული განვითარების ქვეპროგრამის გარეშეა დარჩენილი ..............................19
ზესტაფონი კატასტროფის მოლოდინში ........................20
,,როცა სირთულეს არ აძლევ უფლებას, დაგამარცხოს, ძლიერდები ......................................................................22
ზამთრის ცივ-თბილი დღე ...............................................25
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი .........27
ცერებრული დამბლა - მასალები მშობლებისათვის როდის და სად დგინდება „ცერებრული დამბლის“ დიაგნოზი? ...................................................................27
ჯანმრთელი ხერხემალი - ლამაზი ტანდეგობა და კარგი ჯანმრთელობა ................................................29
დავეხმაროთ გიორგი აფხაზავას!....................................32

ISSN1987-7161
977198771600

## მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 5887
info.imediplus@gmail.com

## რედაქტორის მოადგილე

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

## დიზაინერი

სოფო ტარყაშვილი
592 534466

## გამომცემელი

კავშირი „იმედი პლიუსი“

## საკონტაქტო ინფორმაცია

ზ.ფალიაშვილის № 47ა
მე-2 სადარბ. ბ 12
+995 2 25 28 81
+995 2 25 28 83
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

**ჟურნალი გამოდის „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

გარეკანის პირველ გვერზე - სამების კათედრალური ტაძარი იუსტიციის სახლიდან. *თეიმურაზ მიქიაშვილის ფოტოები.*

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან

ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

## ახალი ამბები

## აღდგენილი სამართალი

**ლევან ოდიშარია**
**(საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი 2011-2012 წწ.)**




მიმდინარე წლის 30 იანვარს გამოვიდა უზენაესი სასამართლოს განჩინება, რითაც დასრულდა საქართველოს ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტთან დაკავშირებული ორწლიანი სასამართლო დავა. სამივე ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა წესდების უხეში დარღვევით მოსული არალეგიტიმური შემადგენლობა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შეთქმულება კომიტეტის ლეგიტიმური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე ადამიანის ტვინში მოიხარშა, ამ სცენარის ძირითადი ავტორები იყვნენ: **გია ძნელაძე, დავით მაისურაძე, ალექსანდრე ტალახაძე, შალვა მაისურაძე, რატი იონათამაშვილი, რევაზ რევაზიშვილი და ლელა აფციაური.**

ყველაფერი დაიწყო 2012 წლის 1 დეკემბერს, როდესაც სამ კაციან საიდუმლოდ დაგეგმილ შეკრებაზე მოხდა კომიტეტის ლეგიტიმური გამგეობის მოშლა, წესდების ახალი რედაქციის მიღება და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა არ მომხდარიყო საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა, 2013 წლის 5 თებერვალს რეესტრმა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით (რომლებიც მოგვიანებით გახდა გასაგები და რის გამოც კომიტეტი შეიტანს საჩივარს იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ უკანონო პროცესში), მაინც განახორციელა უკანონო გზით მიღებული წესდების ახალი რედაქციის რეგისტრაცია, სწორედ ეს რეგისტრირებული მონაცემები გახდა მოგვიანებით საფუძველი ჩატარებულიყო კომიტეტის არალეგიტიმური რიგგარეშე არჩევნები, სადაც არჩეულ იქნა ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი ლელა აფციაური, გენერალური მდივანი რევაზ რევაზიშვილი და გამგეობის შემადგენლობა. სამწუხაროდ, ხანგრძლივი დრო დასჭირდა კომიტეტში სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ახლა ახალი რეალობაა და ახალი გამოწვევები, რასაც მიუხედავად ორწლიანი ჩავარდნისა, ლეგიტიმური გუნდის დახმარებით ეფექტურად გავართმევთ თავს.

რაც მთავარია სპორტსმენები განთავისუფლდებიან იმ წნეხისგან, რასაც განიცდიდნენ უკვე ძველი, არაკანონიერი გზით მოსული ხელმძღვანელობისგან, რომლებიც მათ თავისიან და მოწინააღმდეგე მხარეებად ყოფდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი „არამათიან" სპორტსმენებზე ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელებული არაერთი ზეწოლის შემთხვევისა, რომლებიც გამოიხატებოდა ხელფასების მანიპულირებაში, შეჯიბრზე არ გაშვების თუ სხვა სახის მუქარებში. საბედნიეროდ, ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. მომავალში, ძირითადი პრინციპი, რითაც კომიტეტი იხელმძღვანელებს, იქნება სამართლიანობა და თანასწორობა - ყველა სპორტსმენს კომიტეტის შესაძლებლობების ფარგლებში დაუფასდება მათი მიღწევები.

კომიტეტის ლეგიტიმური ხელმძღვანელობის სახელით მადლობა ყველას, ვინც ამ მძიმე პერიოდში გვედგა მხარში, განსაკუთრებით იმ სპორტსმენებს და მწვრთნელებს, რომლებიც არ გახდნენ ამ უკვე ყოფილი ხელმძღვანელობის ზეწოლის მსხვერპლნი. ასევე მადლობას მოვახსენებთ ჩვენს ადვოკატს ბატონ კობა ბოჭორიშვილს, რომელმაც მაქსიმალური თანადგომა გამოიჩინა და აჩვენა უმაღლესი პროფესიონალიზმი.

# ადაპტირებული ბაგა-ბაღი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის





თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ბერი გაბრიელის ქუჩაზე მდებარე სრულად ადაპტირებული 215-ე ბაგა-ბაღი გახსნეს.

ბაგა-ბაღი ერთ-ერთია საქართველოში არსებული იმ ბაღებიდან, რომელიც ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საერთო ჯგუფებში. ბაგა-ბაღში 470 აღსაზრდელია, მათ შორის, 15 შეზღუდული შესაძლებლობებისაა და სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას საჭიროებს.

ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია აშშ მთავრობის თავდაცვის დეპარტამენტის ევროპულმა სარდლობამ დააფინანსა და აშშ-ს საელჩოს შუამავლობით, აშშ არმიის ინჟინერთა კორპუსმა განახორციელა. 250 000 აშშ დოლარის ღირებულების პროექტის ფარგლებში ბაგა-ბაღის ორსართულიანი შენობა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. – „ჩვენ შეგვიძლია შშმ პირებისგან ვისწავლოთ სიმამაცე და ავიღოთ მაგალითი, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი იმ გამოწვევებს და საჭიროებებს, რომლის წინაშეც ყოველდღიურად დგანან. ჩვენ უნდა ვუსმინოთ მათ, მათ შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში ახალი განზომილება, მადლიერი ვარ იმისა, რომ ეს ადამიანები ჩვენს გვერდით არიან„ - განაცხადა აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა.

# განათლების სამინისტრო მზადაა, ნებისმიერ საჯარო სკოლაში ინტეგრირებული კლასი გახსნას

**ცისანა შერგილაშვილი**



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის 41-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული კლასის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებს ესტუმრა, მათთან სასწავლო პროცესის მიმდინარეობით დაინტერესდა და პირადად გაეცნო, როგორ იყენებენ ეს მოსწავლეები პლანშეტურ კომპიუტერებში არსებულ განმავითარებელ პროგრამებს სასწავლო პროცესში.

პლანშეტურ კომპიუტერებში ჩატვირთულია სპეციალური პროგრამები, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განივითარონ სხვადასხვა უნარი, უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და შეძლონ მაქსიმალურად გამოავლინონ შესაძლებლობები.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ინტეგრირებული კლასების მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესსა და ყოველდღიურ სასკოლო აქტივობებში ძალზე ეფექტურია.

გაგრძელება →

შესაბამისად, 2015 წელს სამინისტრომ გაზარდა ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის„ ბიუჯეტი და ამ მიმართულებით არა ერთი პროექტი ხორციელდება. ამ ეტაპზე, სსსმ მოსწავლეებისთვის უნარების განმავითარებელი დამატებითი სერვისის გაძლიერების მიზნით, საჯარო სკოლებში შექმნილ ინტეგრირებულ კლასებს პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ, ხოლო, სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სკოლა-პანსიონებს ინტერაქტიული დაფები (Smart Board).

ინტეგრირებული კლასები 2013-2014 სასწავლო წელს საჯარო სკოლის სივრცეში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის გაიხსნა. კლასები აღჭურვილია შესაბამისი დამხმარე სასწავლო რესურსებით, თვალსჩინოებითა და ინვენტარით. ინტეგრირებულ კლასში მუშაობს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, დამხმარე მასწავლებელი, დამხმარე სპეციალისტი (ძიძა). სასწავლო პროგრამა მორგებულია თითოეული ბავშვის საჭიროებებს.

ინტეგრირებული კლასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრო მზად არის საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ნებისმიერ საჯარო სკოლაში გახსნას ინტეგრირებული კლასი.

როგორც ცნობილია, 2014 წელს საქართველო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა„ კონვენციას შეუერთდა. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ყველა აქტივობა, კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების სისრულეში მოყვანას ემსახურება.

## პაატა ბურჭულაძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბოდიში პირადად მოუხადა



კომპანია „არტ პალასის„ მიერ ორგანიზებული, პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი სპორტის სასახლეში ანშლაგით ჩატარდა. თუმცა, ბევრმა მაყურებელმა, რომელთაც ბილეთებში 100-120 ლარი ჰქონდათ გადახდილი, ხალხის სიმრავლის გამო, საკუთარი ადგილები ვერ დაიკავეს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რამდენიმე პირმა სპორტის სასახლე პროტესტის ნიშნად დატოვა, ვინაიდან მათთვის განკუთვნილ ადგილებამდე მისასვლელად პანდუსები არ იყო დამონტაჟებული. სპორტის სასახლის დირექტორის, გიო ხუციშვილის განცხადებით, სასახლეს პანდუსი აქვს, თუმცა ის არავის გაუფრთხილებია, რათა პანდუსი დამონტაჟებულიყო. მომხადრის გამო, იუბილარმა პაატა ბურჭულაძემ შეზღუდული შესაძლეობლობის მქონე პირებს ბოდიში პირადად მოუხადა. „არტ პალასის„ პრეზიდენტმა გია ანდღულაძემ მომხდარის გამო ბოდიში სცენიდან რამდენჯერმე მოიხადა, რასაც ადგილების გარეშე დარჩენილმა მაყრებელმა სტვენით და ტაშით უპასუხა.

http://info9.ge/?lang=ka-GE

p.s. **ნუთუ ასეთი უპასუხისმგებლოა (რბილად რომ ვთქვათ) ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა? ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაზე, სადაც არა მარტო ქართველთა, არამედ მრავალი ერის წარმომადგენელთა ყურადღება იყო მიპყრობილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მაინც უფლებადარღვეულები დარჩნენ. რა გამოდის? გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა გაეროს მიერ მიღებული შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ეს მიღებული და აღიარებული კონვენცია უკვე მივიწყებული და ნაცარმიყრილია. ნუთუ ასე ძნელია თვალი მიადევნო და აკონტროლო მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა? ნუთუ ასე ძნელია საერთაშორისო მნიშვნელობის დადგენილება, რომლის განხორციელება (ნაწილობრივ მაინც) ძალიან სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, შენი კულტურის ნაწილად აქციო? შე დალოცვილო, რად გვაყრი თვალებში ნაცარს? კარგი ქენი რომ მიიღე, მაგრამ მავანთა და მავანთა საცინად ასაგდებად რად ხდი თქვენს მიერ მიღებულ კანონს? გააკონტროლე, ერთხელ მაინც ამოიღე ხმა და საკადრისად დასაჯე, რომ მეორეს აღარ მოუნდეს თქვენი დადგენილების ფეხებზე დაკიდება. ჩვენ კი, შშმ პირები თვალის დახუჭვას არ ვაპირებთ და მუდამ შეგახსენებთ, რომ ჩვენ ამ ქვეყნად ისეთივე უფლებები გაგვაჩნია, როგორც ნებისმიერ თქვენგანს.**

იმედი +
იკითხეთ ჟურნალი „იმედი +"

**ნიკოლოზ რაჭველი**

## „რუსთავი 2“-ის გადაწყვეტილება ძალზე სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის




სოციალური ქსელის მეშვეობით, ნიკოლოზ რაჭველი ''სხვა შუადღის'' ახალ თანაწამყვან მერაბ დუკაშვილზე სტატუსს აქვეყნებს. მისი განცხადებით, მერაბი ძალიან ჭკვიანი ადამინია და „რუსთავი 2“-ის გადაწყვეტილებას იწონებს. ასევე აღნიშნავს, რომ მერაბს წამყვანისთვის ყველა დამახასიათებელი თვისება აქვს. ნიკოლოზ რაჭველის აზრით, მერაბი შეძლებს და ქართველ საზოგადოებას უკეთესი აზროვნებისკენ შეცვლის.

„ჩემი დატვირთული სარეპეტიციო და საკონცერტო რეჟიმის გამო დიდი ხანია ტელეგადაცემებისთვის თვალიც არ მომიკრავს. ახლა კი, როდესაც ცოტა ამოვისუნთქე, ინტერნეტსივრცეში „სხვა შუადღის„ ერთ-ერთ გადაცემას წავაწყდი, სადაც ჩემმა უსაყვარლესმა წამყვანებმა ნინომ, გვანცამ და თიკამ მაყურებელს კიდევ ერთი, ახალი თანაწამყვანი მერაბ დუკაშვილი წარუდგინეს. შევყევი გადაცემის ცქერას და მიხვდი, რომ არხის ეს გადაწყვეტილება ძალზე სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც მასმედია ყველაზე დიდი მასწავლებელია, როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვალსაზრისით. მერაბს აქვს ნიჭი, ერუდიცია და კულტურა, რაც წამყვანისთვის საჭირო თვისებებია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ მას აქვს შესაძლებლობა ძალიან დიდი ნაბიჯი გადაგვადგმევინოს ყველა ჩვენგანს, რომ გავხდეთ უკეთესები, უფრო დახვეწილები და თავისუფლები, უფრო ძლიერი ნებისყოფითა და საკუთარი თავის რწმენით სავსენი! როგორც თავის დროზე სასიმღერო კონკურსმა „ჯეოსტარმა„ შემოაბრუნა რუსულ მდარე ესტრადის მარწყხებში მოქცეული ქვეყანა ქართული სიმღერისკენ, ცოცხალი შესულებისკენ და უკეთესი გემოვნებისკენ (თუმცა ცხადია სენის სრული განკურნება ჩემდა საუბედუროდ შეუძლებელი აღმოჩნდა...), ასევე მგონია, რომ მერაბი და „სხვა შუადღე“ ძალიან დიდ წვლილს შეიტანს ფართო საზოგადოების რიგ ფასეულობათა ფორმირების პროცესში. მუსიკალური კულტურისა და გემოვნების გაძლიერების კუთხით იგივე გადაცემაში ამას ძალზედ წარმატებით ახორციელებს მარინა ბერიძე, რომელმაც შესაძლებელი გახადა მაღალრეიტინგული არხის ეთერიდან კლასიკურ მუსიკაზე კონცენტრირებულად საუბარი, მისი შემსრულებლების ცოცხლად მოსმენა და მათი შემოქმედებითი ცხოვრების ფართო პროპაგანდა. მე როგორც „სხვა შუადღის„ ხშირმა სტუმარმა, შეძლებისდაგვარმა მაყურებელმა და ერთგულმა გულშემატკივარმა, მინდა გამოვხატო სიხარული და ყველას მივულოცო ასეთი დადებითი სიახლეები!!!„ – წერს სოციალურ ქსელში ნიკოლოზ რაჭველი.

---

**გოგა გოგატიშვილი**

## შეხვედრა საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითდასაქმების ხელშესაწყობად



23.01.2015 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითდასაქმების ხელშესაწყობად, კერძოდ, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. შეხვედრას „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა„ რეგისტრირებული კავშირის ხელმძღვანელი გოგა გოგატიშვილი და სხვა წარმომადგენლები, ორგანიზაცია „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„ ხელმძღვანელი გიორგი ახმეტელი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი ვიქტორ ბარამია, მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ნადირაძე, გამგებლის მოადგილე ოთარ ომიაძე, გამგეობის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები, საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გაგა დარბაიძე ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა საჩხერეში სოციალური საწარმოს დაფუძნებასა და მისი განვითარების გზებზე ისაუბრეს, რომლის ხელშეწყობისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანადამფინანსებელი იქნება. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი კი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის წამომადგენლებისთვის, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, შშმ პირებისათვის სამეწარმეო უნარების განვითარების მხარდაჭერას, სპეციალური ტრენინგებისა და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზების გზით.

აღსანიშნავია ის, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტი სხვა მინიციპალიტეტებს შორის ამ მხრივ ერთ-ერთი პირველია.

# სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირში



ქალთა საქველმოქმედო სპორტულ-გასართობი ტურნირის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) ოფისში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა.

შ.პ.ს. SNBG-DENTAL-ი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) და საქართველოს ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონი„ მიმდინარე წლის მარტის თვეში ერთობლივად აწყობენ ქალთა საქველმოქმედო სპორტულ-გასართობ ტურნირს. შეჯიბრებები ჩატარდება შემდეგ სახეობებში: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ტყვიის სროლა. ტურნირის გახსნა დაგეგმილია 2015 წლის 3 მარტს-დედის დღეს, საბილიარდო კლუბ „რიოში„. ტურნირის ჩატარების მიზანია და ეძღვნება: სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, ქალთა სოციალური სტატუსის განმტკიცებას, რაც უზრუნველყოფს ძალადობის პრევენციას და ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა აქტივობას.

ტურნირი იმავდროულად არის საქველმოქმედო ხასიათის, რაც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მოზარდებისათვის საჭირო სოციალური სერვისების მიწოდებაში ხელშეწყობას

# ჯანდაცვის და სოციალური საქალაქო სამსახურის პრიორიტეტული პროგრამები

ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2015 წლის ბიუჯეტი 76.5 მილიონი ლარია. 2014 წელთან შედარებით 2015 წელს ბენეფიტების და ზოგადად ფინანსური რესურსების შედარებით მეტი ოდენობა დაიხარჯება სიღარიბის ნიშნით მიზნობრივ ჯგუფებზე, იმ ოჯახებზე, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებული. მიმდინარე წლის ბიუჯეტი მეტად პასუხობს სოციალური სამართლიანობის ძირითად პრინციპს - დახმარება მიიღოს მან, ვისაც უფრო მეტად სჭირდება იგი. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2015 წელს 29 პროგრამას განახორციელებს. მათ შორის, როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალური მომსახურების მიმართულებით არაერთი ახალი და მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება იწყება

**აღნიშნული პროგრამებიდან ჯანდაცვის კუთხით ორი ახალი პროგრამა განხორციელდება:**

- **ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 30 წლამდე ასაკის პაციენტებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამა,** რომლის განსახორციელებლადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 4 000 000 ლარი გამოიყო. პროგრამა უპრეცედენტოა და მისი მიზანია 30 წლამდე ასაკის 20 ბენეფიციარის ოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობის დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში პირველი პაციენტი უკვე დაფინანსდა, რომელიც 9 თებერვალს სტამბოლში გაემგზავრება.
- **C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა**, რომლის 2015 წლის ბიუჯეტი 1 400 000 ლარია. პროგრამის მიზანია თბილისში რეგისტრირებული C ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებისა და მედიკამენტებზე შეღავათით სარგებლობის მისაღებად აუცილებელი დაავადების სტადიის განსასაზღვრი გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.პროგრამის ფარგლებში 2000 ბენეფიციარი დაფინანსდება.

**რაც შეეხება სოციალურ მიმართულებას, მიმდინარე წელს ხუთი ახალი პროგრამა განხორციელდება:**

- **სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარების პროგრამა,** რომელიც 2015 წლის ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარით დაფინანსდა. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგის-

**გაგრძელება** →

ტირებული ოჯახების მატერიალური დახმარება.

- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა,** რომლის წლიური ბიუჯეტი 400 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვის ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- **სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლოთა მატერიალური დახმარების პროგრამა,** რომელიც მიმდინარე წელს 1 000 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის თანახმად, სოციალურად დაუცველი 150 000 და დაბალი ქულის მქონე მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები 900 ლარით დაფინანსდებიან.
- **სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მატერიალური დახმარების პროგრამა** 2015 წლის ბიუჯეტიდან 800 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველი 0-150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 800 ლარით განისაზღვრა.
- **სოციალური დაცვის პროგრამების შეფასება** - პროგრამის მიზანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამების ბენეფიციართა კმაყოფილების დონის განსაზღვრა; მოქალაქეთა განცხადებებში მოცემული პრობლემებისა და საჭიროებების გაანალიზება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამების მიმართ მოსახლეობის ზოგადი განწყობის იდენტიფიცირება; 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

**გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში გაორმაგდა, რიგ შემთხვევაში კი გაიზარდა სოციალური დახმარების პროგრამები:**

- **სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეტი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა** - ბიუჯეტი 400 000 ლარი. პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარება დაერიცხება მე-3 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით.
- **სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება** - ბიუჯეტი 7 000 000 ლარი. პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს (3 და მეტი ბავშვით), საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად მატერიალური დახმარების სახით 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარი დაერიცხება.
- **100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა** - ბიუჯეტი 35 000 ლარი. პროგრამის მიხედვით, 100 წელს მიღწეულ და გადაცილებულ ხანდაზმულთათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა.
- **ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება** - ბიუჯეტი 472 500 ლარი. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ამ ომში მარჩენალდაკარგულები 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას - 700 ლარს მიიღებენ

ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიზნობრიობისა და განხორციელების ეფექტიანობის შესაფასებლად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2015 წელს ჩაატარებს კვლევებს, რომლის შედეგების საფუძველზეც მომავალში განსახორციელებელი პრიორიტეტული სოციალური პროექტები დაიგეგმება.

http://new.tbilisi.gov.ge/

---

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის!

**საიას დახმარებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სასარგებლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურების ხარჯის და სარჩოს გადახდა დაეკისრა**

საია სასამართლოში იცავდა ი. გ-ს ინტერესებს. მან სკოლის გამოსაშვებ საღამოზე ავტოავარიის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და სხვადასხვა დროს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის არაერთი ოპერაცია. დღეისათვის მას სისტემატურად სჭირდება სამედიცინო მომვლელი. 2011 წელს ი.გ.-მა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამედიცინო მომვლელისა და ყოველთვიური სარჩოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დაკისრება. საიას მოსაზრებით, სამინისტრო იყო პასუხისმგებელი საბოლოო ჯამში იმ პერიოდისათვის სკოლებში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.

გაგრძელება →

სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ სკოლის მასწავლებელთა მხრიდან უხეშ გაუფრთხილებლობას და ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას ქონდა ადგილი, ასევე გაითვალისწინა საიას ადვოკატის პოზიცია, სამედიცინო მომვლელისა და სარჩოს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ი.გ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურების ხარჯი 1180 ლარის ოდენობით, ასევე სარჩელის შეტანიდან ყოველთვიურად 800 ლარის ოდენობით სარჩოს ანაზღაურება.

**საიას დახმარებით, კიდევ ერთ არასრულწლოვანს დაენიშნა ალიმენტი**

საიას გორის ოფისი სასამართლოში იცავდა მოსარჩელე შ.გ-ს ინტერესებს, რომელიც არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ითხოვდა ყოფილი მეუღლისათვის ალიმენტის დაკისრებას. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე გ.თ-ს ორი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 200 (ორასი) ლარის რაოდენობით.

http://gyla.ge/geo/news?info=2427#sthash.KcVoHPZs.HJ5jAjdr.dpuf

---

**საქართველოს მეგობრები**

## „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ (MAC) გაწეული მუშაობა საქართველოსთვის

**მრავალი წელია საქართველოში წარმატებით მოღვაწეობს „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის„, რომლის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელია განათლების ფსიქოლოგიის დოქტორი, ქალბატონი ქეით მაკლეინი. ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის 2014 წლის შედეგებზე გვესაუბრება MAC-ის დირექტორი ჯერემი გასკინი**



მაკ-ის მისიაა დაეხმაროს ქართული საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებს სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი. 2014 წელს ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ მნიაშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ტრენინგებით, რესურსების გადანაწილებით და პირდაპირი მომსახურებით. MAC-მა ძალისხმევა არ დაიშურა მიეწოდებინა საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ინფორმაცია, დახმარებოდა მათ სასურველი უნარების შეძენაში, შეექმნა შესაფერისი გარემო მათი და მათ გარშემო მყოფი ადამიანების განვითარებისათვის.

2015 წელს ორგანიზაციის მიზნად რჩება, დახმარება გაუწიოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს და მათ ოჯახის წევრებს. MAC-ის ძირითადი დრო და რესურსები შემდეგ ორ ინიციატივას მოხმარდება. მომსახურების მიმწოდებლების და იმ სისტემის გაძლიერება, რომელშიც ისინი მუშაობენ და ცოდნის გაღრმავება, აზრის გამოთქმის და შესაძლებლობების უზრუნველყოფა მათთვის, ვისაც აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლები ემსახურებიან. MAC-ი ასევე იზრუნებს განათლების ხელმისაწვდომობაზე სტუდენტებისთვის სოფლებში და ხელს შეუწყობს სკოლებს, უკეთ დააკომაყოფილონ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები.



MAC-ი მადლობას უხდის მის პარტნიორებს საქართველოში და საზღვარგარეთ. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შევძლებთ მივიღოთ სასურველი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი შედეგი და ვაფასებთ თქვთან თანამშრომლობას და თქვენს მხარდაჭერას. და ბოლოს MAC-ი მადლიერებას გამოხატავს Stepping Stones, Internaciolal-ის მიმართ. თქვენი გულუხვი დახმარების გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევდით ყოველივე ამას. დიდი მადლობა ყოველ თქვენთაგანს.

გაგრძელება →

## 2014 წელს MAC -ის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები

### მთავარი მოვლენები



- **სულ 115 ექიმს, ექთანს და უშუალო დამხმარეს ჩაუტარდა ტრენინგი ჩვილთა და ბავშვთა სწორად კვების და გადაყლაპვის ტექნიკაში.** აღნიშნული ტრენინგი ადრეული პრევენციის პროგრამის ნაწილია და მისი საშუალებით მონაწილეებმა შეძლეს კვებასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება და შესწორება. ვინაიდან ეს სირთულეები ვრცელდება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილებზე, მათი მოგვარებით იზრდება ჯანსაღი განვითარების ადამიანები.
- როდესაც ბავშვს აქვს ფიზიკური შეზღუდვა, პოზის სწორი შერჩევა და ვარჯიში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ წელს **MAC -მა ტრენინგი ჩაუტარა 50-ზე მეტ ოჯახს განვითარების სფეროს ისეთ საკითხებზე როგორებიც არის პოზა, მოძრაობის დიაპაზონი და ადაპტაცია.** მონაწილეების უმეტესობამ ამ ტიპის ტრენინგი პირველად გაიარა, რაც საშუალებას მისცემს მათ შვილებს მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი უნარები და იყვნენ დამოუკიდებლნი.
- **MAC-ის ძალისხმევით, 286 მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი ინკლუზიური განათლებისა და ქცევის მართვის ტექნიკაში.** მონაწილეების თხოვნით გაკვეთილები ადგილობრივად ჩატარდა და მასწავლებლებმა 65-ზე მეტი სკოლიდან მიიღეს ინსტრუქცია ქართული სკოლების საკლასო ოთახებში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების განვითარების საკითხებზე.
- **თითქმის 100-მა მშობელმა და პროფესიონალმა მომსახურების მიმწოდებელმა, საქართველოს მასშტაბით, მიიღო ინფორმაცია ემოციური/ქცევითი პრობლემების სიმპტომებზე.** ტრენინგის მონაწილეებმა უკეთ გაიზიარეს მათი შვილების და/ან კლიენტების პრობლემების მახასიათებლები და გაეცნენ ქცევითი პრობლემების შემსუბუქების და ემოციური და შემეცნებითი განვითარების ინსტრუმენტებს.
- **MAC -ის მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასა 140-ზე მეტი ბავშვი.** მათი შეფასება მოხდა შემეცნებითი, ფიზიკური და განვითარებისათვის საჭირო უნარების საფუძველზე. შეფასებულებს შორის 88 ბავშვმა მიიღო MAC -ის მიერ განვითარებული ადაპტური აღჭურვილობა.
- **თითქმის 70-მა პროფესიონალმა და პარაპროფესიონალმა გაიარა ტრენინგი სენსორული ინტეგრაციის თეორიაში, დიზაინსა და განხორციელებაში.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში აღენიშნებათ გარკვეული ხარისხის ნევროლოგიური და განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები, რაც მოიცავს სენსორულ აღქმას და ინტეგრაციის დარღვევებს. აღნიშნული ტრენინგების საშუალებით, მომვლელებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იაფიანი ინსტრუმენტების და სათამაშოების საშუალებით უპასუხონ ბავშვების ზოგად სენსორულ საჭიროებებს.



- 2014 წელს 23-მა სტუდენტმა იმერეთის რეგიონიდან ჩააბარა კოლეჯში ან უნივერსიტეტში **MAC-ის სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში.**



- **2014 წლის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები:**
- 2014 წელს MAK-მა წარმატებით დაასრულა Test of Nonverbal Intelligence (TONI-4)-ის სატესტო ფაზა, წლის ბოლოსთვის ტესტის საშუალებით ორგანიზაციამ შეაფასა საქართველოს 12 რეგიონის 62 სკოლის 1152 მოსწავლე. ტესტირების მონაცემების ანალიზი 2015 წელს ნებრასკას უნივერსიტეტის დოქტორის, ბატონი ჰარნიშის დახმარებით მოხდება. დასრულების შემდეგ TONI-4 იქნება პირველი ნორმირებული ინელექტის ტესტი საქართველოში. ტესტი ხორციელდება არავერბალურად და მისი გამოყენება მარტივია, რაც უზრუნველყოფს მომავალში მის ფართო მისაწვდომობას განურჩევლად ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის და/ან ეთნიკური წარმომავლობისა.
- **2014 წელს გაფართოვდა MAC -ის სტიპენდიის პროგრამა** და ხელმისაწვდომი გახდა ლათალის და სვანეთის ეკონომიკურად მოწყვლადი მცირერიცხოვანი მოსალეობისათვის. შედეგად, 11-მა აბიტურიენტმა უფასოდ გაიარა 2015 წლის ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები
- **MAC -მა დაიწყო თანამშრომლობა ჯო ენის სამედიცინო ცენტრთან** (ერთადერთი ბავშვთა კარდიოქირურგიული განყოფილება საქართველოში) და ცენტრის სამედიცინო პერსონალისთვის ატარებს ოკუპაციური თერაპიის მხარდაჭერის და ტრენინგ კურსებს.
- **MAC-ის ინიციატივით ხორციელდება თანამშრომლობა World Vizion, Georgia-სთან** იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების და მათი ოჯახების დახმარების და განათლების მიწოდების მიზნით.
- **MAC -მა განავითარა და წამოიწყო ახალი 5 კრედიტიანი კურსი** და სემინარი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის (თსუ) ოკუპაციური თერაპიის მესამე კურსის სტუდენტებისათვის. MAC-ის ფსიქოლოგებმა თსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში 5 კრედიტიანი კურსები ფსიქოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტებთან ჩაატარეს.~
- **ქიუ ეს აი-სთან თანამშრომლობით MAC-მა განავითარა 1:1 მხარდაჭერის პროგრამა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის.** პროგრამის ფარგლებში ქიუ ეს აი-ს ხუთმა მოსწავლემ მიიღო მაღალი ხარისხი, ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული დახმარება და საქართველოში მოქმედი მომსახურების მიმწოდებლებისათვის მოხდა მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება ადაპტირებული განათლების განვითარების და განხორციელების სფეროში.
- MAC-ი მუდმივად ეხმარება საქართველოს მოხუცების მზარდ საზოგადოებას. აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში MAC-ის ოკუპაციურმა თერაპევტებმა ქუთაისის მოხუცებულთა ცენტრში ჩაატარეს ტრენერთა ტრენინგი. ღონისძიებას ესწრებოდა 35 ბინაზე მომვლელი მოხალისე. მინაწილეები გაეცნენ სახლზე მიჯაჭვული ადამიანების კუნთოვანი ატროფიის წინაამდეგ ბრძოლის და დამოუკიდებელი გადაადგილ;ების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულ სავარჯიშოებს. MAC-მა ასევე წვლილი შეიტანა ლიფტის მონტაჟისათვის საჭირო თანხების მოზიდვაში, რამაც გაზარდა ცენტრის ხელმისაწვდომობა.
- **2012 წელს MAC-მა დაარსა ძევერის სკოლის სტიპენდიის პროგრამა** და მისი საშუალებით გამოცოცხლდა ერთ დროს ძალზედ ჩუმი საზოგადოება . . . რაც შეუმჩნევად არ დარჩენია ადგილობრივ მთავრობას. ამ წელს იმერეთის გუბერნატორმა, ბატონმა ზაზა მეფარიშვილმა, ძევერის სკოლა რეგიონის ყველაზე წარმატებული სკოლების მოკლე ჩამონათვალში შეიტანა.
- **2012 წელს ორმა მოსწავლემ მიიღო სტიპენდია; მათი რაოდენობა 2013-ში ექვსამდე გაიზარდა. ამ წელს MAC-ის დაფინანსებით კოლეჯში ან უნივერსიტეტში ჩაირიცხა 15 ახალი სტუდენტი.**

MEDFM 100.3
პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უსმინეთ ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაკაშვილის საავტორო გადაცემას
„ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით"

# საქართველოს სოლიდარობის ფონდი

**გიორგი ჯანელიძე**



**სოლიდარობის ფონდი საქართველოს** პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2014 წლის ივნისში შეიქმნა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული პროცესების დასრულებისთანავე აგვისტოს თვეში კონკრეტული პროგრამების განხორციელება დაიწყო. 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ქვეყანაში პრაქტიკულად გადაჭრა ძირითადი ფინანსური პრობლემა სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ეს მართლაც უპრეცედენტო ინიციატივა იყო, რომლითაც საქართველო მსოფლიოს იმ 32 ქვეყანას შეუერთდა, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამები ხორციელდება. თუმცა მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდისა, რიგი ძვირადღირებული სამკურნალო-დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისები, მათ შორის ონკოლოგიური, იშვიათი დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ქვეყანაში კვლავ სერიოზულ ფინანსურ ბარიერად რჩებოდა. ***„სწორედ, საზოგადოებისათვის ყველაზე მწვავე სამედიცინო და სოციალური პრობლემების ეტაპობრივად, საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით გადასაჭრელად შეიქმნა საქართველოს სოლიდარობის ფონდი. ის თავის მხრივ, ეფუძნება საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოცდილებას, სოლიდარობის ფონდების (მაგ. გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის) და კონკრეტული ინოვაციური დაფინანსების მექანიზმების მაგალითებს, როგორიცაა UNITAID, Check out for children, Red (product) და სხვა პროექტები. ფონდის მიზანია საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით ქვეყანაში ფართო მასშტაბით დაინერგოს „მიკრო-ფილანტროფია„ ანუ მცირე ქველმოქმედება და თავად საზოგადოების მიერ შექმნილი ალტერნატიული, არასაბიუჯეტო რესურსით ერთად შევძლოთ მძიმე სენით დაავადებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების დახმარება,“*** განგვიცხადა ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, **მარიამ ჯაშმა.** ფონდი ხელმძღვანელობს 3-წლიანი განვითარების სტრატეგიით, რომელიც პირველ ეტაპზე ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და მოზრდილი მოსახლეობის დახმარებას გულისხმობს. II ეტაპზე 2015 წლის გაზაფხულიდან დაგეგმილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დასახმარებლად კონკრეტული პროგრამების შემუშავება და ამოქმედება, ხოლო III ეტაპზე 2016 წლის ბოლოდან ინდივიდუალური სპონსორობის, ე.წ. „პატრონაჟის„ პროგრამების პლატფორმის შექმნა სოციალურად ყველაზე დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. ფონდის ხელმძღვანელი ამბობს, რომ პირველი ეტაპისათვის დაგეგმილი მიზანი - **ბავშვთა და 22 წლამდე ასაკის ონკოლოგიური პაციენტების** ფინანსური პრობლემის მოგვარება, უკვე მიღწეულია, რაც 40,000-ზე მეტი საჯარო მოხელისა და 14 კომპანიის რეგულარული დონაციებით გახდა შესაძლებელი. პროგრამების შემდგომი გაფართოვება - **22 წლის ასაკზე უფროსი პაციენტების** დახმარებისა და ბავშვთა სხვა დაავადებების მოცვა მხოლოდ და მხოლოდ ფონდის მიერ სისტემურად, ყოველთვიურად მობილიზებული რესურსების მოცულობაზე იქნება დამოკიდებული. **ექიმ-ონკოლოგებთან კონსულტაციით,** სოლიდარობის ფონდის სტრატეგიულ გეგმაში შემუშავებულია ე.წ. **ფინანსური პროექტირების გეგმა**. აღნიშნული გათვლებით ყოველთვიურად 340 000 ლარის მობილიზება ქმნის ფინანსურ მდგრადობას, რომ **22 წლამდე ყველა ონკოლოგიური პაციენტის** დახმარება შესაძლებელი გახდეს. დეკემბრის მონაცემებით, 1 თვეში მობილიზებულმა სისტემურმა დონაციებმა 290,000 ლარს გადააჭარბა, რაც იმედს იძლევა, რომ 2015 წლის გაზაფხულისათვის ყოველთვიური რესურსი 340 000 ლარს აღემატება და შესაძლებელი გახდება პროგრამების გაფართოვება. დღეისათვის სოლიდარობის ფონდი, 21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური პაციენტების განცხადებებს განიხილავს შემდეგი ძირითადი სერვისის დაფინანსების კუთხით:

**1. საზღვარგარეთ ღეროვანი უჯრედების გადანერგვას მიელოდისპლაზიური სინდრომის, აპლასტიური ანემიისა და მწვავე ლეიკემიების რეციდივების შემთხვევაში. აღნიშნული მოიცავს თანადაფინანსებას ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაზე მოქმედი უწყებათაშორისი რეფერალური კომისიისა და ადგილობრივი ხე-**

გაგრძელება →



**ლისუფლების სოციალური სამსახურების დაფინანსების გათვალისწინებით;**

**2. საზღვარგარეთ განსაკუთრებით რთული ონკოქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებას, რომელთა განხორციელება საქართველოში ვერ ხერხდება (მაგალითად ზოგიერთი ოსტეოსარკომის - ძვლის სიმსივნის შემთხვევაში);**

**3. საზღვარგარეთ სხივური თერაპიის თანადაფინანსებას ჰოჯკინის ლიმფომის დიაგნოზის მქონე პაციენტებისათვის ან სოლიდური სიმსივნეების შემთხვევაში მცირეწლოვანი ასაკის ბავშვებისათვის;**

**4. საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების შემთხვევაში პაციენტისათვის მგზავრობის (ტრანსპორტირების) ხარჯის დაფარვას;**

**5. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წლიური ლიმიტების ფარგლებს გარეთ განმეორებითი მაღალტექნოლოგიური კვლევების - კომპიუტერული ტომოგრაფიისა (CT) და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის (MRI) ხარჯებს;**

**6. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წლიური ლიმიტისა და სატარიფო არეალის ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ქიმიო-თერაპიის ან ონკოქირურგიის ხარჯების დაფინანებას;**

სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაციული ხარჯები (მათ შორის სახელფასო ფონდი, საინფორმაციო მხარდაჭერისათვის აუცილებელი ბიუჯეტი და სხვა მიმდინარე საოპერაციო ხარჯები) მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. არცერთი თეთრი, რომელიც ირიცხება სოლიდარობის ფონდში მოქალაქეების მიერ ბავშვების დასახმარებლად - არ ხმარდება ფონდის ადმინისტრაციულ ხარჯებს. **ქალბატონი მარიამის მიერ მოწოდებული მონაცემებით,** 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი იყო 60 000 (სამოცი ათასი) ლარი. ამავე პერიოდში ფონდის მიერ მობილიზებულმა თანხამ ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა დასახმარებლად 1 მილიონ 700 ათასს გადააჭარბა. პროპორციულად ადმინისტრაციულმა ხარჯმა მობილიზებული თანის 3.5% შეადგინა, თუმცა აღნიშნული 3.5%-იც არა დონაციების, არამედ, სახელმწიფო დაფინანსების მიერ იყო უზრუნველყოფილი. **ექიმ-ონკოლოგებთან კონსულტაციით** ყოველწლიურად 150-200 ბავშვსა და 22 **წლამდე** ახალგაზრდას შეიძლება დასჭირდეს სოლიდარობის ფონდის დახმარება. ფონდის ამოქმედებიდან დღემდე (სექტემბრიდან-დეკემბრის ჩათვლით) ფონდში შესული იყო 58 პროფილური განცხადება - ანუ 22 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა განცხადება დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დასაფინანსებლად. ფონდის საექსპერტო და კომისიური განხილვის შემდეგ თითოეული განცხადება იყო დაფინანსებული - საერთო ჯამში დამტკიცდა 1,198,000 ლარის დახმარება. 58 პაციენტიდან 18 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა გადაწყდა საზღვარგარეთ - გერმანიის, იტალიის, თურქეთისა და საფრანგეთის კლინიკებში. ონკოლოგიური პაციენტების გამოჯანმრთელების პროგნოზირება საკმაოდ რთულია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (მათ შორის სიმსივნის ტიპზე, დიაგნოსტიკის დროს სიმსივნის სტადიაზე და სხვ). დასავლეთის წამყვან ქვეყნებშიც კი ონკოლოგიურ პაციენტთა 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები 46%-დან 65%-მდე მერყეობს. თითოეული ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვისა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდის გადასარჩენად ქართული საზოგადოება უკვე არის გაერთიანებული.

**სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელი** ფიქრობს, რომ პროგრამების გაფართოების პერსპექტივა პირდაპირპროპორციული იქნება საზოგადოების ჩართულობის მატებასთან: ***„ონკოლოგიური კუთხით აქტიურად განიხილება ძვირადღირებული მედიკამენტების (მაბტერასა და ჰერცეპტინის) ნაწილობრივი დაფინანსება, ასევე განსაკუთრებით ძვირადღირებული ინტერვენციების - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსების გაზრდა 22 წლის ასაკის ზემოთ. პარალელურად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პროგრამების გაფართოვებაზე შეზღუდული შესაძლებლობისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებისათვის. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს კონსულტაციები ანტიეპილეფსიური მედიკამენტების უზრუნველსაყოფად, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის პროგრამებისა და კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაციების დასაფინანსებლად, რომელიც სცდება სახელმწიფო პროგრამების არეალს. მაგრამ ისევ და ისევ, პროგრამების გაფართოვება მხოლოდ საზოგადოების, თითოეული ჩვენთაგანის ჩართულობაზე იქნება დამოკიდებული“.***

**გაგრძელება** →

ფონდს ამ ეტაპზე პრობლემები აქვს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** ბავშვების მკურნალობასთან დაკავშირებით. თუმცა, ქალბატონ **მარიამ ჯაშთან** საუბრისას გაირკვა, რომ თვეში დონაციების 200 000 ლარით გაზრდა შესაძლებელს გახდიდა როგორც ანტი-ეპილეპსიური მედიკამენტების შეძენას, ასევე, აუტიზმის სპექტრის მქონე 200 ბავშვის სარეაბილიტაციო პროგრამის დაფინანსნებას: ***„თუკი ქვეყანაში დასაქმებულთა (დაახლოებით 1, 600, 000-დან) თუნდაც ნახევარი ყოველთვიურად მინიმალურ, თუნდაც 1 ლარის დონაციას განახორციელებს, ჩვენ ყველა ზემოთჩამოთვლილი პრობლემა გადაჭრილი გვექნება როგორც ონკოლოგიური პროფილის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დასახმარებლად“,*** დარწმუნებულია ფონდის აღმასრულებელი **დირექტორი**.

**ფონდის მმართველობა** წარმოდგენილია 2 ძირითადი მრავალსექტორული მექანიზმით. პირველია სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. საბჭო ძირითადად სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს ღებულობს, როგორიც არის ფონდის პროგრამული მიმართულებები, საბიუჯეტო და სხვა საკითხები. რაც შეეხება კონკრეტული ბენეფიციარების დაფინანსებას, აღნიშნული მეორე მექანიზმით - ფონდის მუდმივმოქმედი კომისიით განიხილება და მტკიცდება. კომისია, ისევე, როგორც სამეთვალყურეო საბჭო, წარმოდგენილია სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებით: ***„სოლიდარობის ფონდში შემოტანილ თითოეულ განცხადებას იხილავს საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისია, ხოლო კომისიის სხდომამდე თითოეული განცხადება იხილება ექიმ-ექსპერტთა მიერ. ექიმი-ონკოლოგები უზრუნველყოფენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტულ განხილვას და დიაგნოსტიკური კრიტერიუმებისა და სამკურნალო რეკომენდაციების შესაბამისობის დადასტურებას ან უარყოფას. ამასთანავე კომისიის თითოეულ სხდომას დამკვირვებლის სტატუსით ესწრება გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფონდი იხილავს მხოლოდ პროფილურ განცხადებებს - ანუ აპლიკაციებს, რომელიც შეესაბამება ფონდის მიერ მოცემულ ეტაპზე გამოცხადებულ ასაკობრივ და დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმები და მექანიზმებია ფონდში განცხადებების განხილვის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გარანტი“,*** - აცხადებს ფონდის დირექტორი. აღმოჩნდა, რომ ამოქმედებიდან დღემდე ფონდმა 22 წლამდე ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დააფინანსა აბსოლუტურად ყველა პროფილური განცხადება და არ დაშვებულა არცერთი გამონაკლისი არაპროფილურ განცხადებებზე. საუბრის დასასრულს, **ქალბატონმა მარიამ ჯაშმა** განაცხადა, რომ ფონდისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრამების შემდგომი გაფართოვება: ***„არცერთი ბავშვი და ოჯახი, რომელიც ჩვენგან დახმარებას ელის არ დარჩეს უპასუხოდ, მაგრამ ჩვენი დახმარების შესაძლებლობები მხოლოდ თითოეული ჩვენთაგანის სისტემურ, ყოველთვიურ ჩართულობაზეა დამოკიდებული განურჩევლად თანხის მოცულობისა. ინტერვიუს დასასრულს ვთხოვდი ჩვენს მკითხველს - გაეცნონ ფონდის საქმიანობას და თუკი გაუჩნდებათ სურვილი, შემოგვიერთდნენ. გარწმუნებთ, რომ სისტემური, ყოველთვიური ჩართულობაა ყველაზე მთავარი წარმატების ფაქტორი და არა კონკრეტული თანხა, რომელსაც თითოეულ ჩვენთაგანი შეძლებს, რომ გაიღოს“.***

ამბობენ, ქველმოქმედება გადამდებიაო. ასეც არის. თანაც, თუკი აქამდე ამა თუ იმ შემთხვევაში ავადმყოფი თანამემამულეების დახმარება ასე თუ ისე მაინც ქაოტურად ხდებოდა, დღეს ეს ყველაფერი სისტემაშია მოყვანილი და ფონდის მეშვეობით თანხების განაწილება კოორდინირებულად მიმდინარეობს. ახლა სიტყვა იმ თანამოქალაქეებზეა, რომელთაც ძალუძთ აღრიცხვაზე აყვანილ ბენეფიციართა ცხოვრება თვეში სულ რაღაც 1 ლარად შეცვალონ.

**მარიამ ჯაში, საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:**

**განათლება:** ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის ედუარდ მეისონის პროგრამის კურსდამთავრებული. მოპოვებული აქვს მაგისტრის ხარისხი სახელმწიფო




გაგრძელება →

ადმინისტრაციის საკითხებში ჰარვარდის კენედის სკოლიდან (აშშ); მაგისტრის ხარისხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ზოგადი პრაქტიკის ექიმის კვალიფიკაცია სამედიცინო სკოლა „აიეტიდან“ (საქართველო).

**პროფესიული გამოცდილება:** აქვს ჯანდაცვისა და განვითარებითი პროგრამების სტრატეგიულ დაგეგმარებაში, დაფინანსებასა და მართვაში 15-წლიანი გამოცდილება. 1999-2011 წწ. მუშაობდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოს ოფისის, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგელობისა და ნიუ-იორკის სათაო ოფისის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების ხელმძღვანელად. 2011-2012 წლებში მუშაობდა დამოუკიდებელ საერთაშორისო ექსპერტად გლობალური ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სათავო ოფისებთან და ქვეყნის წარმომადგენლობებთან. 2012-2014 წლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2014 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ საქართველოს სოლიდარობის ფონდს.

2010 წ. გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების საუკეთესო პრაქტიკის გლობალურ ანგარიშში (UN MDG Good Practices 2010) შესული ნაშრომის თანაავტორი, 2011 წ. ჰარვარდის კენედის სკოლის მიმოხილვისა (2011 Harvard Kennedy School Review) და 2012 წ. ოქსფორდის ჯანდაცვის ჟურნალში (Oxford Universityy Press) შესული პუბლიკაციების ავტორი.

გიორგი ზურებიანი

## მხოლოდ ერთი სანუკვარი ოცნება მაქვს – მინდა, რომ სიარული შემეძლოს“



ზოგი მაგარ, სპორტულ ავტომობილზე ოცნებობს, ზოგიერთი - სიმდიდრეზე, მაგარ ქალზე, ჩემპიონობაზე, პოპულარობაზე, მოგზაურობაზე... მე მხოლოდ ერთი სანუკვარი ოცნება მაქვს - მინდა, რომ სიარული შემეძლოს. ცამეტი წლის ვიყავი, მე და ჩემმა ძმამ ხის კენწეროზე ბაწარი ჩამოვაბით და ერთმანეთს ზედ ასვლა-ჩამოსვლაში ვეჯიბრებოდით. როგორც ჩანს, კარგად ვერ მოვაბით... საბედნიეროდ, ბაწარმა მე მიმტყუნა და არა ჩემს ძმას. ძალიან ცუდად დავეცი. წელს ქვემოთ პარალიზებული აღმოვჩნდი. მას შემდეგ ათმა წელიწადმა ჩაუარა ჩემს ცხოვრებას გვერდით. ბოლო წლებში საერთოდ არ გამიყვია ცხვირი გარეთ. მესამე სართულის ფანჯრიდან ვიყურები, ვაკვირდები, როგორ დარბიან ბავშვები, ბურთს თამაშობენ, როგორ სეირნობენ ჩემი თანატოლები წყვილ-წყვილად. მოსწავლეებს სასწავლო დღე რომ უმთავრდებათ, როგორი გახარებულები გამორბიან სკოლიდან. სახლში მე ვარ ტყვე, გარეთ - მზესუმზირის გამყიდველი ბებო. თითქოს მასაც არ შეეძლოს სიარული. სულ ერთ ადგილას ზის. რამდენჯერ ადრე ავმდგარვარ, სპეციალურად, რომ მისი მოსვლა დამენახა და რამდენჯერ გვიანობამდე შემოვრჩენილვარ სარკმელთან, რომ მისი წასვლა მეხილა, რაიმე ნიშანწყალი მისი სიარულის შესაძლებლობისა. მაგრამ ამაოდ... საპირფარეშოში მაინც არ უნდა გასვლა მთელი დღის განმავლობაში? საინტერესოა, გარეთ მყოფთ არ უჩნდებათ ეს შეკითხვები? შუა დღისას ჩემი მომვლელი მოდის ხოლმე. საკვებს მიმზადებს და სამ დღეში ერთხელ ბანაობაში მეხმარება. ხანდაზმული ქალია, საცოდავი იქით მოსავლელია, მაგრამ გაჭირვების გამო იძულებულია და მაინცდამაინც არ წუწუნებს, ყოველ შემთხვევაში - ჩემთან. ისეთი სიბრალულით მიყურებს ხოლმე, მირჩევნია რაღაცა დამარტყას, ვიდრე ასე შემხედოს.

ოროთახიანში ვცხოვრობ. მისაღებიც და საძინებელიც ერთი დიდი ბიბლიოთეკაა. წიგნები, წიგნები და კიდევ წიგნები. მხოლოდ სამზარეულო გადაურჩა წიგნებს, თუ კულინარიის წიგნს არ ჩავთვლით. ადრე ამ ორ ოთახში უბრალოდ წიგნებს ვხედავდი, ახლა კი უკვე სამყაროებს ვხედავ. შესაბამისად ბიბლიოთეკის ნაცვლად - ჩემს მიკროკოსმოსს. სწორედ, წიგნმა შეძლო ჩემი გადარჩენა ფსიქოლოგიური და სულიერი დეგრადირებისგან. დროის უმეტეს ნაწილს კითხვაში ვატარებ. ტელევიზორი და კომპიუტერი საერთოდ გავაქრე სახლიდან. წიგნთან შედარებით მათი ფასი ნულის ტოლია. წიგნებში რომელიმე პერსონაჟის

გაგრძელება →

ადგილას წარმოვიდგენ ხოლმე თავს, ამიტომ წიგნის სამყაროში სიარულიც შემიძლია, სირბილიც, ცურვაც და უბრალო ადამიანებისგან განსხვავებით - ფრენაც. იმდენად გავიწაფე კითხვაში, რომ ასოებს, სასვენ ნიშნებს, სიტყვებს, წინადადებებს, აბზაცებს, გვერდებსაც კი ვეღარ ვამჩნევ. პირდაპირ სამყაროები იჩითება. ნარკოტიკები არ გამისინჯავს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამას ვერც ერთი მათრობადი ან ჰალუცენოგენი ვერ მოგცემთ. კინოში სხვისი ფანტაზიებია, რეჟისორის აზრებს მიყვები, შენი ფანტაზია ამ დროს ჩლუნგდება და ფუნქციას კარგავს. წიგნში კი შენ ხარ დამდგმელი რეჟისორიც, ოპერატორიც, მხატვრული გამფორმებელიც... მოკლედ, ძაან მაგარია.

ჩემს ქვემოთ, მეორეზე, ერთი სტუდენტი გოგონა ცხოვრობს. თიკო ჰქვია. თიკო, თიკო, თიკო... შემიძლია უსასრულოდ ვიმეორო ეს სახელი, მაგრამ რა აზრი აქვს?! ის ვერასოდეს გამიცნობს, ჩემზე სერიოზულად არ იფიქრებს. ერთადერთი გრძნობა, რაც შეიძლება მასში გამოვიწვიო - სიბრალულია. ამას კი სიკვდილი მირჩევნია. ამიტომ არც ვცდილობ მის გაცნობას. ფარდის უკნიდან ვიჭვრიტები ხოლმე და ვაკვირდები, როგორ მიდის სასწავლებელში და როგორ ბრუნდება. მისი განრიგი ზეპირად ვიცი. მის ვარცხნილობაში, ჩაცმულობასა და მაკიაჟშიც კი მცირე ცვლილებასაც ვამჩნევ. იმასაც ვხვდები, როდის როგორ ხასიათზეა. მან კი, შეიძლება ჩემი არსებობაც კი არ იცის. ექვსი წლის რომ ვიყავი, მე და ჩემი კლასელი დათო, რომელიც ჩემსავით ფათერაკიანი ბავშვი იყო, სკოლიდან გავიპარეთ და იქვე ას მეტრში პატარა ჭაობთან მივირბინეთ. იმ დროს გვეგონა, რომ სკოლიდან ძალიან შორს ვიყავით. ისიც გვეგონა, რომ იმ ჭაობში ბაყაყების გარდა თევზებიც იყვნენ. ორი გამხმარი ლერწამი შუაში გადავგრიხეთ და წყალში ჩავუშვით იმ იმედით, რომ თევზს დავიჭერდით. წარმოვიდგინეთ, რომ ანკესები გვეჭირა. როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ!!! თუმცა მერე მამაჩემისგან კარგად მომხვდა ტაკოში და ცრემლებიც ვაღვარღვარე, მაგრამ მეორე დღეს მე და დათო ამაყად შევხვდით ერთმანეთს, გამარჯვებული სახეებით, თითქოს დიდი გმირობა ჩავიდინეთ... ნეტავ იმ დროს!..

რა კარგი იქნებოდა, ადამიანს დროის მიმართულების შეცვლა რომ შეეძლოს და მომავლის ნაცვლად, თავისი ცხოვრება წარსულისკენ მიმართოს. მხოლოდ ათი წლით უკან მსურს დაბრუნება, იმ დამპალ ბაწარს ცეცხლში დავწვავდი და მსგავს რამეს აღარასდროს გავიმეორებდი... აი ისიც... თიკო! უნივერსიტეტიდან ბრუნდება. სახე გადაღლილი აქვს, თვალებიც დასწითლებია. ალბათ გამოცდა ჰქონდა. თმის ერთი კულული წინ აქვს ჩამოგდებული და ძალიან უხდება. ასე დაღლილ-დაქანცულიც კი უმშვენიერესია. ყოველ შემთხვევაში მათ შორის, ვინც კი ოდესმე მოხვედრილა ჩემს თვალსაწიერში.

...ღამის სამი საათია. საძინებელში დიდი კედლის საათი მიკიდია. სიჩუმეში ერთი თუ ამიყოლია მისი მექანიზმის მუშაობამ, მთელი ღამე არ დამაძინებს. მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს და საძინებელშივე ვტოვებ. ღამით, როცა შინ სრულიად მარტო ვარ, ერთადერთი თანამოსაუბრე ეს კედლის საათია. არასდროს არ ეზარება საუბარი. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... მის ლექსიკონში ორად ორი სიტყვაა - ტიკ-ტაკ... ტიკ-ტაკ... და ერთი ორნოტიანი მელოდია საათში ერთხელ - ტუ... დუუუმ... ტუ.... დუუუმ!.. ჩემზე გაცილებით ასაკიანია. ერთი ხანობა მისაღებში ეკიდა, სანამ დედა და ჩემი ძმა უცხოეთში წავიდოდნენ და იქიდან შეუდგებოდნენ ჩემს „შენახვას“. მაგრამ წიგნების კითხვისას საათი მეტისმეტად დიდ ყურადღებას იქცევდა და რეალობაში მაბრუნებდა. ჰოდა, მეც საძინებელში მივუჩინე ადგილი. ახლაც შევცდი, მოვუსმინე და ამიყოლია... ვეღარ ვიძინებ. რაკი ვერ ვიძინებ, ფიქრი დავიწყე. ფიქრები, რა თქმა უნდა, თიკოს შეეხება...

გათენებამდე ვიფიქრე, როგორ შემომეყვანა თიკო ჩემს სამყაროში. მის სამყაროში მე ვერ შევიდოდი, შესაბამისად - ის უნდა შემომეყვანა ჩემსაში. დილას ჩამეძინა. თიკო მესიზმრა. დიდ მწვანე მინდორში დავრბოდით, ორივე ვიცინოდით. თიკომ ბაბუაწვერა მოწყვიტა, ჩემკენ შემობრუნდა და სული შეუბერა. ბაბუაწვერები ჰაერში გაიფანტნენ და გამომეღვიძა.

სიზმარი ფურცელზე დავწერე, რომ არ დამვიწყებოდა. ერთი საათის შემდეგ მივუბრუნდი და წავიკითხე... უცებ, ისევ სიზმარში აღმოვჩნდი. ძალიან მაგარი იყო. მერე დავფიქრდი და მივხვდი, გასაღები ჩემს ხელთ იყო. უეცრად თავი ყოვლისშემძლედ ვიგრძენი. ჩემს მომვლელს დავურეკე და ძალიან ბევრი რვეული და ბევრი საწერკალამი დავაბარე. მთელი დღე ვწერდი. ვწერდი და ვკითხულობდი... ვწერდი და ვკითხულობდი... ბოლო ათ წელიწადში პირველად ვიგრძენი თავი ბედნიერად. შეიძლება ეს სიგიჟეა, მაგრამ ჩემთვის ამას არ აქვს მნიშვნელობა. მე და თიკო ერთად ვართ ჩემს სამყაროში.

პირველი წიგნი სასიყვარულო რომანი იყო. მეორე - სათავგადასავლო. ხომალდმა კატასტროფა განიცადა და დაღუპვას მხოლოდ ორნი გადაურჩნენ, თიკო და ერთი ბიჭი. ტროპიკულ სარტყელში ერთ-ერთ დაუსახლებელ კუნძულზე აღმოჩნდნენ. ისე დავწერე, რომ მათ დიდი ხნის განმავლობაში ვერ აგნებდნენ მაშველები, ამიტომ დიდხანს მოუწიათ ერთად ცხოვრება. ახლა, არ ვიცი, რიგით მერამდენე წიგნს ვწერ. ფანტასტიკაზე გადავედი. ამ წიგნში ფრენა შემიძლია და იმედია, იქაც შევძლებ თიკოს გულის მოგებას.

http://mshoblebi.ge/

საზოგადოება

# ნიჭიერი ეტლში

გიორგი გვახარია



საბედნიეროდ, კარგად ვიცი, რას გრძნობს ადამიანი, რომელმაც სიარულის უნარი დაკარგა. „საბედნიეროდ“-მეთქი, ამას ხაზგასმით ვამბობ, რადგან დიდი ხანია მივხვდი, ტკივილი და განსაცდელი მხოლოდ და მხოლოდ მადლი შეიძლება გახდეს ადამიანისთვის, თუკი ფარ-ხმალი არ დაყარა და ეს განსაცდელი კარგად „გამოიყენა“.

22 წლისა საირმის დაღმართზე რომ დავეცი და ვერ მივხვდი, რატომ ველარ მემორჩილება ხელ-ფეხი, რატომ არ შემიძლია ფეხზე ადგომა, იმას კი არ განვიცდიდი, რომ რაღაც საშინელება დამემართა, არამედ სირცხვილის და უხერხულობის გრძნობა მტანჯავდა - შუა გზაზე ვიჯექი ჩაკუზული და ვერ ვდგებოდი! მანქანები არ აჩერებდნენ, მხოლოდ ფანჯრიდან ყვიროდნენ: „ჯიგარ, კაიფში ხარ?“. რამდენიმე ფეხითმოსიარულემაც გაიარა. ერთი ბავშვით იყო. ჩამოეფარა სასწრაფოდ და ზიზღით შემომხედა. ეს ზიზლიანი მზერა კაცისა, რომელიც თავის შვილს ეფარება, გაშეშებული და უძლური რომ არ დაანახვოს, კიდევ დიდხანს გამყვა მერე - სიზმარში ვხედავდი ამ მამას და ვერ ვიტანდი ვერავის, ვინც ბავშვს თვალზე ხელს აფარებდა. მერე იყო ხანგრძლივი პერიოდი სახლში ჯდომისა და საზოგადოებისგან დამალვისა, იმის შიშით, რომ ეს სცენა განმეორდება და ისევ შეგრცხვება, შეგეშინდება, ნარკომანი არ ეგონო ვინმეს. მერე იყო გამოჯანმრთელება, მაგრამ დღემდე იმ ადამიანის „შენიანად“ აღქმა, რომელსაც ჩვენში „ინვალიდს“, „ხეიბარს“, „უძლურს“ უწოდებენ.

ამიტომ ვამბობ მადლია-მეთქი - თავისებური საჩუქარია ეს განსაცდელი. იმ ადამიანებს იხსენებ მუდმივად, ვინც გასაჭირში გვერდზე გედგა. ავტობუსში რომ ვერ ადიოდი, ცდილობდა, შენი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, ეშაყირა. გაიმედებდა და უყვარდი ისეთი, როგორიც ხარ! მადლია, რადგან ძალიან კარგად იცი, ახლა როგორ უნდა მოიქცე, როცა ქუჩაში დაცემულ ადამიანს დაინახავ, როცა ეტლში მჯდარი კაცი, ქალი, ბავშვი დაგელაპარაკება. იცი, რომ არ უნდა ჩაიკუზო, ენა არ უნდა მოუჩლიქო, არ იძახო ენჯეოშნიკური ტერმინები („შშმპ“, მაგალითად)... უნდა დარჩე ისეთი, როგორიც ხარ. უბრალოდ მხიარულად ჰკითხო - „დახმარება ხომ არ გინდა?“

ჩვენ ყველას გვჭირდება დახმარება. ამიტომ ვცხოვრობთ ერთად. ამიტომ ვართ ერთ სივრცეში. ვერაფერს ვერ შევძლებთ მარტო, რადგან ყოველი ჩვენგანი - ის, ვინც ეტლში ზის და ვინც არ ზის - ინვალიდია!

დიდი ხნის წინ, როცა „ცხელი შოკოლადის“ გამოცემა დაიწყო, ჟურნალის რედაქტორმა, შორენა შავერდაშვილმა მითხრა, „ეს იქნება ჟურნალი წარმატებულ ადამიანებზე, რათა მკითხველს ამ ხალხმა სტიმული მისცესო“. კარგად მახსოვს ეს სცენა. რედაქციაში ვისხედით და ახალ ნომერზე ვფიქრობდით. მახსოვს, როგორ გამიელვა უცბად აზრმა: „მოდი გავაკეთოთ ჟურნალი წარუმატებელ ადამიანებზე, იმათზე, ვისაც უჭირს! ამოვიდა ყელში ამდენი ოპტიმიზმი“.

რუსთავი-2-ის სატელევიზიო შოუს, „ნიჭიერის“ ფინალმა გამახსენა ეს დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ “შეჯიბრი” მომღერლებს, აკრობატებს, მოცეკვავეებს და ილუზიონისტებს შორის სრული უაზრობა მგონია, ვნახე ფინალი და დავრწმუნდი - ეს არხი ერთადერთია საქართველოში, რომელსაც შოუს მოფიქრება, დადგმა, გადაღება შეუძლია... შეუძლია, ტელევიზორს ვერ მოწყვიტოს თუნდაც ისეთი უჟმური მაყურებელი, როგორიც მე ვარ. მაგრამ მთავარი სხვა არის - „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა წყვილი, რომლის გამარჯვება გარკვეული თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოების გამარჯვებაცაა, იმის იმედი, რომ 2015 წლის საქართველო მაინც უკეთესია, ვიდრე ის საქართველო, რომელშიც პირადად მე 1978 წელს ვცხოვრობდი.

ქვეყანაში, სადაც განსხვავებული შესაძლებლობების ხალხის გადაადგილებისთვის პირობები ვერა და ვერ იქმნება; სადაც ადამიანებს ეტლში ძალიან ხშირად გარეთ გამოსვლის სურვილი არა აქვთ იმიტომ, რომ მათ უყურებენ, როგორც „ეგზოტიკას“, იმიტომ, რომ ვერ შედიან აფთიაქში, ვერ ადიან ავტობუსში, ვერ ესწრებიან კონცერტებს, შეიძლება ითქვას, არც აქვთ არსად წასასვლელი; სადაც „ენჯეოშნიკებიც“ კი ამოკლებენ ტერმინებს და მათ „შშმ პირებს“ ეძახიან (არ აგერიოთ „შსს“-ში)... აი, ამ ქვეყანაში, ყველაზე პოპულარულ შოუში კარგი მომღერლების და აკრობატების მონაწილეობით, იმარჯვებენ ახალგაზრდა მოცეკვავეები - თემო და ქეთი. იმარჯვებს სიარულის შესაძლებლობას მოკლებული თემო და ქეთი, რომელიც კი არ „ატარებს“ თემოს, არამედ მასთან ერთად ცეკვავს! ეტლიც კი - ვილაცისთვის ცხოვრების ტვირთი - თემოს და ქეთის ნომრებში გამოყენებულია, დიახაც, როგორც საჩუქარი, როგორც ახალი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ადამიანმა თავისი ნიჭი გამოავლინოს.

გაგრძელება →

„ნიჭიერის“ ფინალის შესახებ საკმაოდ სკეპტიკური მოსაზრებებიც მოვისმინე. ისიც თქვეს, ქართველმა მაყურებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ხმა იმიტომ მისცა, რომ შეეცოდაო. მე არ მესმის, რატომაა „შეცოდება“ დამამცირებელი ქვეყანაში, სადაც შეცოდება, თუ თანაგრძნობა დიდი ხანია, დეფიციტია. შეცოდების თუ თანაგრძნობის უნარი რომ ჰქონდეს ქვეყანას, მაშინ იმაზეც იფიქრებდა, რომ ასიათასობით ეტლზე მიჯაჭვული ადამიანისთვის სიცოცხლის ელემენტარული პირობები შეექმნა. და თუ თემომ და ქეთიმ - ცრემლი რომ ვერ შეიკავეს სცენაზე და აქვითინდნენ - ამ ქვეყანას შეცოდების, სიბრალულის თუ თანაგრძნობის უნარი გაუღვიძა, ეს სწორედ მათი ნიჭის წყალობით მოხდა! ე.ი. მათ დაიმსახურეს გამარჯვება.

ის, რომ რუსთავი-2-ის შოუს 12 ფინალისტს შორის 3 ნომერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა წარმოადგინეს, ასევე ამტკიცებს იმას, რომ ქვეყანაში რაღაცები შეიცვალა - ის ხალხი, ვისაც ჩვენში „ინვალიდებს“ უწოდებდნენ, არა მარტო გარეთ გამოვიდა, არა მარტო სცენაზე დადგა, არამედ კამერებშიც გაუსწორა თვალი მაყურებელს. თანაც, ეს მოხდა იმ არხზე, რომელიც დიდი ხანია უკვე, მინიმუმ კვირაში ორჯერ, ეპატიჟება „ტუჩდაბერილ პოპვარსკვლავებს“ კითხვით - „ახლა მითხარი, პირადში რა ხდება?“ და საუკეთესო დროს უთმობს უნიჭობის, ზედაპირულობის, მეშჩანობის ტირაჟირებას იმ მოტივით, რომ „ასეთია ტელემაყურებლის დაკვეთა“. ჰოდა აღმოჩნდა რა? აღმოჩნდა, რომ სატელევიზიო პროექტის, „ნიჭიერის“ რეიტინგი მნიშვნელოვნად მაღალია ამ შოუებთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ მაყურებელი მზადაა, გაიცნოს ახალი სახეები, ახალი ხალხი, სხვანაირი ხალხი, მათ შორის ის ხალხი, ვის დანახვასაც უკრძალავდნენ ბავშვებს - ხელს აფარებდნენ თვალებზე...

არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, პირველი შოკი, რომელიც ევროპაში განვიცადე, სწორედ ეტლიანი ადამიანის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება იყო. ბერლინში ავტობუსი რომ დავინახე, რომლის კარზე პანდუსი იყო დამონტაჟებული, გამახსენდა, როგორი წვალებით (თანაც, შაყირ-შაყირით) ცდილობდა უხსოვარ დროს ჩემს აყვანას ავტობუსში დათო ბადრიძე - ძველი მეგობარი და ჩემი ფიქრებიც გამახსენდა - რა მეშველებოდა ასეთი მეგობრები რომ არ მყავდეს!

ევროპაში ასეთი მეგობრის როლს სახელმწიფო ასრულებს. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანებზე, რომელთაც დახმარება სჭირდება. სახელწმიფო და საზოგადოება. ამიტომაც ბევრისგან გამიგია - ქვეყნის სიძლიერე იმაშიც ჩანს, თუ როგორია ამ ქვეყანაში უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება! ესაა პირველ რიგში ევროპა და არა „კოფი-შოპები“ და „სექს-შოპები“, როგორც ბევრს ჰგონია საქართველოში.

„ნიჭიერის“ ფინალი იმის იმედს იძლევა, რომ ჩვენ ძნელად, მაგრამ მაინც ვუახლოვდებით ამ სივრცეს. ჯანდაბას, იყოს დღეს მხოლოდ შეცოდება! გული თუ აგიჩუყდა, არის შანსი აგიჩუყდეს ტვინიც. აი, მაშინ შეიძლება გვეშველოს კიდეც.

და ეს არაა „ოპტიმიზმი, რომელიც ყელში ამოვიდა“. უბრალოდ, პატარა საახალწლო იმედია, მეტი არაფერი.

http://www.radiotavisupleba.ge/

ცისანა შერგილაშვილი

## როგორია შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში?




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა, საქართველოში, არაერთი განხორციელებული აქტივობის მიუხედავად, კვლავაც პრობლემატურია. მათი უფლებები ხშირად ირღვევა, მეტიც, შშმ პირების თემში ბევრმა დღესაც არ იცის საკუთარი უფლებების არსებობის შესახებ.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი საქართველოს რეგიონებში. არასამთავრობო ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„ განცხადებით, ინფორმაციის და საჭირო რესურსების არ არსებობამ დიდი ზიანი მიაყენა შშმ პირების თემს, რამაც შედეგად მათი პასიურობა გამოიწვია საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაში.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„ აშშ-ს საელჩოს ხელშეწყობით, პროექტი „შშმ პირთა უფლებების და შესაძლებლობების მხარდაჭერა, თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მონაწილეობის მისაღებად„ განახორციელა, რომლის მიზანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების განხორციელებისთვის პირობების შექმნა

გაგრძელება

წარმოადგენდა საქართველოს რეგიონებში, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

პროექტის განხორციელების სამიზნედ ორი , საჩხერის და ახალციხის მუნიციპალიტეტები შეირჩა. როგორც „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„ თავმჯდომარე გიორგი ახმეტელი ამბობს, პროექტის შედეგებზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, თუმცა ბევრი შშმ პირის მდგომარეობა გაუმჯობესდა რეგიონებში. „ გამოვლინდა ახალი სპორტსმენი. საჩხერის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა ადაპტირებული ტრანსპორტის შეძენა. მუნიციპალიტეტები გამოჰყოფენ თანხას ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. გაიღეს თანხები შშმ პირების დასასაქმებლად. რაღაცა ძვრები არის, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვჭირდება„, _ ამბობს გიორგი ახმეტელი.

ორგანიზაცია „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„ პროექტების კოორდინატორი ნინო ბაიდაური აღნიშნავს, რომ მართალია შშმ პირების საჭიროებასთან დაკავშირებით პრობლემები მთელს საქართველოში არსებობს, მაგრამ რეგიონებში უფრო მწვავედ დგას ეს საკითხი. მისი ორგანიზაციის მიზანი კი რეგიონებში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაა, რომ შშმ პირების მდგომარეობა იქნეს გაუმჯობესებული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი სპეციალისტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებში იამზე მღებრიშვილის თქმით, შშმ პირების პრობლემატიკას ყურადღებას შეძლებისდაგვარად აქცევენ და ამ აქტივობებს მომავალშიც გააგრძელებენ.

„ახალციხის მუნიციპალიტეტმა შშმ პირებისთვის ერთჯერადი დახმარება გამოჰყო, 300 ლარის ოდენობით, რომელიც ჩაერიცხებათ დეკემბრის თვეში, სულ 20 -მდე შშმ პირი გვყავს, რომელიც ეტლს მიჯაჭვულია. ეს მიზერული თანხაა, მაგრამ პირველად ხდება ამგვარი რამ და იმედია, გაიზრდება ეს დახმარება. როდესაც საქმე შშმ პირებთან დაკავშირებით გადასაწყვეტ პრობლემას ეხება, ჩართულები გვყავს ისინი და აუცილებლად ვითავლისწინებთ მათ მოსაზრებებს. ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამთ მათ გარეშე. შეძლებისდაგვარად, რისი საშუალებაც გვაქვს, ვაკეთებთ. ახლა პანდუსების გაკეთებასაც ვგეგმავთ ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად„, _ამბობს იამზე მღებრიშვილი.

„საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა„ რეგისტრირებული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გოგა გოგატიშვილი ჩართულია პროექტში „შშმ პირთა უფლებების და შესაძლებლობების მხარდაჭერა, თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მონაწილეობის მისაღებად„. ის აცხადებს, რომ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შემდეგ საქართველოში ამ მხრივ გაუმჯობესებაა, მაგრამ საჩხერეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი:

„მიხარია, რომ რეგიონებში შშმ პირთა პრობლემატიკა გააქტიურდა. ყინულმა ლღობა დაიწყო. რაღაცები კეთდება. დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი შეუქცევადი გახდება. რაც საქართველოს პარლამენტმა გაეროს შშმ პირებთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, უფრო მეტი ბერკეტი გვაქვს იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი უფლებები. რეგიონებში უფრო მწვავედ დგას შშმ პირთა მდგომარეობა, ვიდრე თბილისში. თბილისი დიდი ქალაქია, დიდი რესურსია, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური თვალსაზრისით. უფრო ხელმისაწვდომია გარემო შშმ პირებისთვის. წარმოიდგინეთ, რა უნდა ქნას უსინათლომ სოფელში, სადაც გარემო არაადაპტირებულია?! ინკლუზიური განათლება ჩვენს რეგიონში ფიქტიურია, არადა, განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის აუცილებელია, თუნდაც მათ მიმართ სტერეოტიპული მიდგომის შესაცვლელად. განათლებული შშმ პირი უფრო კონკურენტულია შრომით ბაზარზე„ _ აღნიშნავს გოგა გოგატიშვილი.

ჩვენთან საუბარში საჩხერისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბიუჯეტში იდება თანხები, რათა ნელ-ნელა დაიწყოს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სხვა სახის პროექტების განხორციელება შშმ პირთა მდგომარეობის გამოსასწორებლად. თუმცა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მალხაზ ბაზაძის განცხადებით, არც ისე ადვილია, თუნდაც გარემოს ადაპტირება, იმ ფონზე, როცა თავად შენობები არ იძლევიან ამის საშუალებას:

„ფაქტობრივად, 6 თვეა, რაც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვარ და ჩემი მოსვლის დღიდან მინდა გითხრათ, რომ მხარდაჭერა გამოვუცხადე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. მზად ვარ, ჩემი ყველა შესაძლებლობა და უფლება გამოვიყენო ამისთვის.

ამჯერად, ვაპირებთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომ გარემო გავხადოთ უფრო ადაპტირებული შშმ პირებისთვის. 10 ათასი ლარი გამოვყავით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომელსაც ჩავურიცხავთ საჩხერეში შშმ პირების უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციას. ამასთანავე 26 ათასი ლარი გამოვყავით საწარმოს განვითარებისთვის, რათა იქ დასაქმდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საუბრის დონეზეა ამ საწარმოს გახსნა, თუმცა მინდა რომ ამაში საჩხერე იყოს პირველი.

სადაც საშუალება მოგვეცემა ყველაფერს გავაკეთებთ, თუმცა არის შენობები, სადაც ვერ ხერხდება პანდუსების გაკეთება. მოკლედ ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურებთან ერთად ვმუშაობთ და შედეგებიც მალე თვალსაჩინო გახდება„ _ ამბობს მალხაზ ბაზაძე.

როგორც გოგა გოგატიშვილმა აღნიშნა, ყინული უკვე დაიძრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების გამოსწორება შეუქცევადი პროცესია საქართველოში.

**http://www.gurianews.com/view-left-wide.html?item=24535&title**

**გაგრძელება** →

ინგა ლოლაძე

# ზუსტად ექვსი წლის წინ



**ზუსტად 6 წლის წინ მსოფლიოში ყველაზე უბედური დედა ვიყავი... ზუსტდ 6 წლის წინ ტირილით თვალებდასიებულს საწოლის გვერდზე დადგმული ეტლისკენ გახედვაც კი არ მინდოდა.... ზუსტად 6 წლის წინ არ არსებობდა ძალა, რომელიც დამარწმუნებდა, რომ...**

ნინიკო, დედი, იმდენად დიდი იყო შენი გაჩენით გამოწვეული ტკივილი, მისი გაყუჩება წარმოუდგენელი მეჩვენებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთმა დამსაჯა, ღმერთმა გასასჯელი გამომიგზავნა და გამუდმებით ვიმეორებდი - რატომ?

დღეს იმ კოშმარული დღეების გახსენებაც კი მრცხვენია. დღეს და უკვე დიდი ხანია ვიცი, რომ ღმერთმა შენი სახით ანგელოზი მაჩუქა, ღმერთმა ამომარჩია მილიონ ქალში და ამ ქვეყანაზე ყველაზე საუკეთესო შვილის დედობის ღირსი გამხადა. შენ და შენი უამრავი თანატოლი, შენზე უმცროსი თუ უფროსი მეგობრები დედამიწაზე მოსიარულე ანგელოზები ხართ შვილო. თქვენა ხართ ხალასი სიყვარული, სიხარული, სითბო. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია თქვენი საოცარი ხასიათი, თქვენი ყველასთვის გახსნილი გული შეცვალოს დედი. შენი დაბადების შემდეგ ცხოვრება უფრო მეტად დატვირთული, მაგრამ რალაცნაირად, ადვილი გახდა. ჩამეხუტები, - ნუ დედი, ნუ-ო - მეტყვი და ცრემლი შრება, ტკივილი ნელდება. ოთხი წლის წინ ბებოს წასვლა გადამატანინე, ორი დღის წინ - ბაბუასი. საოცრება ხარ დედი, დიდი და ამოუხსნელი საოცრება.

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო ანგელოზო. ბედნიერი გამეზარდე დედიკო. 6 წლის ხარ და უკვე ვიცი, რომ შენ ყველაფერი შეგიძლია, შენ ყველა სირთულეს დაძლევ, შენ მიუღწეველს მიაღწევ, საზოგადოების მსოფლმხედველობას შეცვლი, შენ და შენი მეგობრები ადამიანებს ყველაზე მეტად რაც გჭირდება, ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლით.

მიყვარხარ ნინო. ამ ქვეყანაზე ყველაზე ბედნიერი დედა ვარ და მადლობა ღმერთს, რომ შენი თავი მაჩუქა.

---

ნათია ამირანაშვილი

# 100-ზე მეტი ბავშვი ადრეული განვითარების ქვეპროგრამის გარეშე დარჩენილი

ნინო დვალიშვილის შვილი ერთ-ერთია მათგანია, ვინც ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით მოსარგებლეთა შორის ვერ მოხვდა. როგორც „ლიბერალთან„ საუბრისას დვალიშვილი ამბობს, ამის მიზეზად განცხადების დაგვიანებით შეტანას ასახელებენ.

„მითხრეს, რომ განცხადება ნოემბრის ბოლოს უნდა შემეტანა, 24 ნოემბერს ჩავაბარე განცხადება, თუმცა ვაუჩერი ვერ მივიღე, მიზეზად მითხრეს, რომ განცხადება გვიან დავწერე და მათი ბრალი არ იყო, - ამბობს დვალიშვილი.

ვაუჩერები, ასევე ვერ მიიღეს რუსთავში მცხოვრებმა ბავშვებმა. როგორც „ლიბერალთან„ საუბრისას მშობელი მაია ლომთათიძე ამბობს, მას სოციალურმა მუშაკებმა უთხრეს, რომ რუსთავში მცხოვრებ არც ერთ ბავშვს ვაუჩერი არ დაუმტკიცეს. დაუფინანსებლობის სხვა მიზეზი მისთვის არ განუმარტავთ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა, მზრუნველობის და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მარი წერეთლის განმარტებით, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით დაკმაყოფილდა ის რაოდენობა, რაც სახელმწიფო პროგრამით არის გათვალისწინებული.

მისივე თქმით, 2015 წლის პროგრამა ჯერ არ დამტკიცებულა, ამიტომ წინა წლის პროგრამა უწყვეტად გრძელდება, 2014 წლის სახელმწიფო პროგრამით კი 430 ბენეფიციარის დაფინანსება იყო გათვალისწინებული. როგორც წერეთელი ამბობს, ამ დროისათვის, მომლოდინეთა სიაში 100-ზე მეტი პირის განცხადებაა.

მისივე განმარტებით, ვაუჩერის გაცემის კრიტერიუმები არ შეცვლილა და მთავრობის დადგენილებით რეგულირდება.

„პრიორიტეტი ენიჭება წინა წლის მოსარგებლეს, სოციალურად დაუცველს, რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვებს, მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებს...„, - აცხადებს წერეთელი.

გაგრძელება →

რაც შეეხება რუსთავის შემთხვევას, წერეთლის თქმით, მათ შესახებ ინფორმაცია რუსთავიდან შედარებით გვიან გადმოგზავნეს, ვაუჩერის გაცემის გადაწყვეტილება კი მანამდე მიიღეს.

რა იყო გვიან გადმოგზავნის მიზეზი, „ლიბერალთან„ საუბრისას წერეთელს არ განუმარტავს.

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა განკუთვნილია 0-დან 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების, მისი რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

პროგრამა მოიცავს ერთი მხრივ ბავშვსა და ოჯახზე მორგებულ ადრეულ ინტერვენციას, მეორე მხრივ, პროფესიონალების მუშაობას შინ, სპეციალიზებულ ცენტრებსა და საბავშვო ბაღებში. მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებით დადასტურებულია ბავშვთა ადრეულ განვითარებაში ინვესტირების მაღალი სარგებელი - მცირდება ბავშვთა სიკვდილიანობა და მიტოვების რისკი, უმჯობესდება ბავშვის ზრდა-განვითარება, იზრდება საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობა, ძლიერდება ოჯახი და საზოგადოება.

დადგენილების მიხედვით, ვაუჩერის ერთი თვის ტალონი ანაზღაურდება არა უმეტეს 144 ლარის ოდენობით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

http://kfkfjvijckcvjvivkkvkvkkvkvml/

**გიორგი ჯანელიძე**

# ზესტაფონი კატასტროფის მოლოდინში



**ზესტაფონის ცენტრში ერთ დროს ძველი ბაზარი მდებარეობდა. 2013 წლის 15 ივნისს მისი დანგრევა და სხვაგან გადატანა გადაწყდა. ორასზე მეტმა კერძო მესაკუთრემ, ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ ინვესტორის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, ყოველდღიური საარსებო წყარო დაკარგა. მიწიდან, რომელზეც ეს სავაჭრო ცენტრი მდებარეობდა, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ჩამარხული, დიდი რაოდენობით ბუნებრივი წიაღისეულის ნარჩენები ამოიღეს, გადაამუშავეს და მისგან მხოლოდ რადიაციული ნაგავი დატოვეს. ადგილობრივები ინფრასტრუქტურის მოშლასთან ერთად, სწორედ ამ ნარჩენების დაყრით გამოწვეულ გარემოს დაბინძურებას აპროტესტებენ. ჯანდაცვის ადგილობრივი სააგენტოს მონაცემებით, ზესტაფონში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვი წლიდან წლამდე კატასტროფულად იზრდება.**

**რობერტ ბლიაძე** ბაზარში დასაქმებული 220 კერძო მესაკუთრედან ერთ-ერთია. როგორც ის ამბობს, თავად ონკოლოგიური პაციენტია და ჯანმრთელობის შერყევას სწორედ ძველი ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ რადიაციულ ნარჩენებს უკავშირებს. იგი აცხადებს, რომ მიწის ქვეშ გაღვივდა დაძინებული რადიაცია და მზიან ამინდში ჰაერში ჭრელ-ჭრელი სხეულები დაფრინავენ: ***ამათ ყველაფერი ამოიღეს, რაც კი სასარგებლო წიაღისეული და ოქრო იყო შიგნით, მილიარდები წაიღეს აქედან და დაგვიტოვეს ავადმყოფობა და ნაგავი. ახლაც კიდევ მოგვადგნენ და ცენტრალურ გზას გვინგრევენ. ონკოლოგიურ საავადმყოფოში 80% ზესტაფონელი წევს, დაავადმყოფებულები. ამდენი ოქრო რომ ამოიღეს და ამდენი მილიარდი წაიღეს აქედან, ზესტაფონს რა გაუკეთეს?*** **ირაკლი წაქაძეს**, თავისი კოლეგების მსგავსად, ბაზრის ტერიტორიაზე, პატარა მაღაზია აქვს გახსნილი. იგი ბაზართან მისასვლელ გზაზე ბლოკების დადებასა და შესაბამისად, სავალი ნაწილის შევიწროვებას ახსნას ვერ უძებნის: ***მარტო მე კი არა, მთელი ზესტაფონის 80% გამწარებულია. თვიური შემოსავალი უკვე აღარაფერი გვაქვს, დაგვტოვეს მშიერი. არც იმას გვეუბნებიან, რომ აქ ამოღება უნდათ სილიკონ-მანგანუმის და არც იმას გვაუბნებიან, რომ ინვესტორი მოვა აქ და ამის მერე რამე გაკეთდება. ფაქტიურად, გვერევიან და გვჩაგრავენ.*** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ტარიელ თუთარაშვილის** თქმით, გამგეობამ კერძო მესაკუთრეებს შესთავაზა, რომ მათ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები წარმედგინათ. მისი თქმით, წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაშია- სახელმწიფო გამოაცხადებს ტენდერს ამ საკითხზე და გამარჯვებული ინვესტორი, ვალდებული იქნება, რომ გაითვალისწინოს კერძო მესაკუთრეთა ინტერესები. რაც შეეხება ეკოლოგიურ პრობლემებს, გამგებელი აცხადებს, რომ გარემო ზოგადად კონტროლდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. ბაზრის ქვეშ არსებული ნარჩენები წიაღისეულად გამოცხადდა დაახლოებით 15-20

წლის წინ და ამის შემდეგ მისი მოპოვება უკანონოდ ითვლება. ბატონი ტარიელი ღიად აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია აქამდეც ინფორმირებული იყო კერძო მესაკუთრეთა მიერ, წიაღისეულის კუსტარულად მოპოვების მიზნით, ბაზრის ქვეშ წარმოებული გათხრების შესახებ: ***ამ სავაჭრო ობიექტში მიმდინარეობდა ქერქული ნარჩენების მოპოვება და ეს საქმიანობა იქ სამწუხაროდ მსხვერპლით დასრულდა. მაღაზიების მიმდებარე ტერიტორიები ფაქტიურად მიწის ქვეშ დაქსელილია, ასევე ასფალტის ზედაპირზეც არის დაზიანებული ადგილები, რომლებიც ალბათ ჩავარდნის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს. ამდენად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიზღუდოს მოძრაობა გზის ამ მონაკვეთზე და ეს მოხდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ იქ რაიმე მსხვერპლი და უბედური შემთხვევა არ განმეორდეს,*** - ამბობს ზესტაფონის პირველი პირი. ერთ-ერთმა კერძო მესაკუთრემ, რომელმაც თავისი ვინაობის გახმელა არ ისურვა, ყოფილი ბაზრის თხრილებში დიდი ხნის წინ, ფეროშენადნობთა ქარხნიდან გამოტანილი ნარჩენი გვაჩვენა. ის აგურს ჰგავს და სამშენებლო ბლოკის შეფერილობისაა. ქარხნიდან ეს ნივთიერება გარეთ თხევად მდგომარეობაში გაედინებოდა. მისი სხვადასხვა ნივთიერებასთან შედუღებით იქმნებოდა მყარი მასა, რომელიც დიდი ოდენობით რადიაციის შემცველია. ბაზრის ტერიტორიაზე ათეულობით მსგავს ნარჩენს წააწყდება კაცი. არასამთავრობო ორგანიზაცია **„ძლიერი და ჯანსაღი ზესტაფონი„** არსებული მდგომარეობით დიდი ხნის წინ დაინტერესდა. მისი ხელმძღვანელი **მამუკა მახათაძე** თვლის, რომ პირველ რიგში, მესაკუთრეთა ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული და ეკოლოგიურ მდგომარეობასაც უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში. ადგილობრივი უფლებადამცველის აზრით, აღნიშნული პრობლემის მოგვარება საზოგადოებრივ ჯგუფთან ერთადაა შესაძლებელი: ***თვითნებურად მიდის ამ საქმის განხილვაც და ექსპერტიზაც. მოიტანეს დასკვნები, მაგრამ ვერ ვხვდებით, თუ რა დასკვნებია ეს. გვინდა, რომ სამართლებრივ ჩარჩოში ჩაჯდეს ეს ყველაფერი და ისედაც დამძიმებული ეკოლოგიური ფონი კიდევ უფრო არ დამძიმდეს და არ შეემატოს იმ ათასობით ონკოლოგიურ ავადმყოფებს, რაც ჩვენ რაიონს სამწუხაროდ გააჩნია, ახალგაზრდა ნაკადები.*** ზემოთაღნიშნულმა ორგანიზაციამ ზესტაფონის ჯანდაცვის სტატისტიკური განყოფილებიდან შემაშფოთებელი ინფორმაცია მიიღო, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ზესტაფონში 2007-დან 2011 წლამდე ონკოლოგიურ დაავადებათა რაოდენობის 80%-ით მატება აღინიშნება: ***2007 წელს ფიქსირდებოდა 982 ონკოლოგიური პაციენტი, შემდეგ 1023, 1067, 1125, 1133. ეს არის ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც ზესტაფონის რაიონში ფიქსირდება. ზოგს აქვს საშუალება და თბილისში მიდის. გიორგი ნემსაძეა, მამოლოგი და ის გვყავდა მოწვეული. მან თქვა, რომ აქ რა მონაცემებიც არის, დაახლოებით ერთი ამდენი ჩემთან ჩამოდის, რომელიც აქ რეგისტრაციაში არ ტარდებაო***, გვიამბობს უფლებადამცველი. კერძო მესაკუთრე **ანგი დათიაშვილი** შიშობს, რომ ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე მთლიანი ინფრასტრუქტურის მოშლას დაუშვებს, რის საფუძველსაც მას ობიექტის დანგრევა და შესაბამისად, მისთვის საბაზრო ღირებულების ხელოვნურად დაკარგვა აძლევს: **ეს ხალხი მთავრობას არც სამსახურს თხოვს და არც არაფერს. ეს ხალხი თვითდასაქმებულია და თვითდასაქმების წყაროსაც უსპობენ.** ანგის უფროსი კოლეგა, **ავთანდილ დათიაშვილი** დარწმუნებულია, რომ ზესტაფონში გარემოს მომწამვლელი მინიმუმ 6-7 ობიექტი ფუნქციონირებს. ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას ის ფეროშენადნობ ქარხანაზე გაცილებით საგანგაშოდ მიიჩნევს: ***„მინიფეროები„ სოკოებივით მომრავლდა ზესტაფონში. ასევე არის კოხის მიმღებგამანაწილებელი ქვესადგური, აქვეა ტელე-საკომუნიკაციო გამანაწილებელი ქვესადგური, ასევეა დაბინძურებული მდინარე ყვირილა, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, მოქმედებს ხალხის ჯანმრთელობაზე.*** ბაზარში მოვაჭრეთა შორის არიან ისეთებიც, ვისაც ბანკის ვალი აქვს და მათი ფიზიკურად არსებობა სწორედ ამ ობიექტზეა დამოკიდებული. **დავით ეჯიბაძე** ამბობს, რომ მის მსგავსად, ორასამდე მესაკუთრე ვალით არსებობს: ***220 ოჯახი რჩება მშიერი და აქედან ორასამდე მესაკუთრეს აქვს ბანკის ვალი, რომელიც აუცილებლად გაუყიდის სახლს, კარს და ყვე-***



***ლაფერს. მე პირადად ბანკს 254 დოლარს ვუხდი თვეში, 2 შვილი მყავს, ეს რომ დაანგრიონ, წასასვლელი არსად მაქვს.*** ზესტაფონის მკვიდრი კონსტანტინე ქათამაძე საბოლოო და ერთადერთ გამოსავალს საერთაშრისო ორგანიზაციების ჩარევაში ხედავს: ***ახლა ბოლო მცდელობა არის, რომ მოსახლეობამ პეტიციების სახით ხელისუფლებას ხმა მიაწვდინოს. როდემდე უნდა ითმინოს ამ საზოგადოებამ წინასაარჩევნო დაპირებებით***

გაგრძელება →

***გადავდება? წითელი ჯვრის ექსპერტების ჩამოსვლის გარდა, ჩვენ რაიონს აღარავის იმედი აღარ დაგვრჩა.*** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ტარიელ თუთარაშვილს** ამ პრობლემურ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი აქვს. ის შეგვპირდა, რომ მართალია, ლიცენზიას სახელმწიფო გასცემს და არა მუნიციპალიტეტი, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველანაირად ეცდება, კერძო მესაკუთრეთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, მომავალ ინვესტორს დაავალოს საფინანსო გარანტიის წარმოდგენა, რაც მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს.

P.S.

**როგორც ვხედავთ, ზესტაფონი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ონკოლოგიური დაავადებები წლიდან წლამდე იზრდება. ამის ნიადაგზე იქნება სხვა დაავადებების მატებაც არის კიდევ უფრო შემაშფოთებელი საკითხი, რომელიც მომავალ თაობას ეხება. აუცილებლად შესწავლილი უნდა იქნას მოსახლეობის ინვალიდობის გამომწვევი მიზეზები, რომელიც დაკავშირებული იქნება ეკოლოგიურ მდგომარეობასთან.**

---

**შემოქმედება**

## ,,როცა სირთულეს არ აძლევ უფლებას, დაგამარცხოს, ძლიერდები.

**ქეთევან ჭიღლაძე**



**ჩვენს ირგვლივ მრავალი ადამიანია ისეთი, რომელიც თავის ნიჭიერებით გამოირჩევა, მაგრამ მის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის. ეს ადამიანები ჩუმად, როგორც ღირსეულ ადამიანებს სჩვევიათ, უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს და მრავალ ადამიანს აძლევენ სტიმულს თავიანთი ცხოვრების მაგალითით.**

**შემოქმედი ადამიანების ცხოვრება მრავალფეროვანია, იგი განსხვავებულია თავისი სიღრმისეულობით, განსაკუთრებულობით. მინდა წარმოგიდგინოთ *ლაშა მელაძის* შემოქმედება, რომელიც ძირითადად პორტრეტებს ხატავს და პოეზიით არის გატაცებული. ლაშა წარმოშობით ვანის რაიონის სოფელ ტიბანიერიდან არის, ახალგაზრდა კაცი თავისი ნიჭიერებითა და შემოქმედებით იმსახურებს, გაიცნოს ფართო საზოგადოებამ.**

**ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულს, ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეზიარა.. აი, რას გვიამბობს ლაშა თავისი ბავშვობის შესახებ:**

,,ალბათ, არავისგან განსხვავებული და განსაკუთრებული, ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ჩემი ახლანდელი გადმოსახედიდან თუ შევაფასებ, მხატვრის ტილოს შევადარებდი ჩემს ბავშვობას. იყო ფერადიც, მხიარულიც, თავისი კონტრასტული ფერებით და ზოგან ნაცრისფერიც. ზოგჯერ სევდიანიც. მოგეხსენებათ 90-იანი წლების ბავშვობიდან მოვდივარ, როცა ბავშვი ხარ უფრო მეტად გიჭირს გაიგო, რატომ აყენებენ ტკივილს ადამიანები ერთმანეთს, რატომ ისვრიან, რატომ შიათ, რატომ სტკივათ, რატომ სცივათ. როცა გუშინ ყველა იღიმოდა, დღეს რატომ არიან ყველანი ასეთი დამწუხრებულები.?ალბათ, ჩემი შინაგანი სამყაროთი, მაშინაც ხელოვანი ვიყავი, ოპტიმიზმით სავსე. რასაც მტკივნეულად განვიცდიდი, ვცდილობდი ჩემს სამყაროში ყველა და ყველაფერი შემეცვალა უკეთესობისკენ და ყოველთვის ამომავალი წერტილი სიკეთე იყო. ალბათ დღემდე შევძელი არ დამეკარგა ეს სამყარო და კარგი მხარით დავინახო, შევაფასო ყველა და ყველაფერი. ასევე სხვასაც დავანახო და დავაფიქრო ამ ყველაფერზე. რამდენად გამომდის, ეს უკვე ცალკე თემაა.

***როდის გაჩნდა თქვენს ცხოვრებაში ჯანმრთელობის პრობლემა?***

მე ასე ვიტყოდი მაშინ, როცა ბავშვობა დასრულდა, 13, 14 წლის ასაკში. არის მომენტი როცა სირთუ-

**გაგრძელება** →

ლე გასუსტებს და თუ მოეშვი, მარცხდები. მე ასე ვფიქრობ, თვითონ აკეთებ არჩევანს გადამწყვეტ მომენტში დამარცხდე თუ გაიმარჯვო. მე გამარჯვების გზა ავირჩიე, მაგრამ როგორც ბავშვს ამის ძალა არ მეყოფოდა. ალბათ, ამიტომ რეალურად შევაფასე ყველაფერი და ასე ვთქვათ, გავიზარდე. ახლობელი ადამიანები, ოჯახი დამეხმარა, პრობლემების დაძლევაში და გამაძლიერეს კიდეც. მათ მიმიღეს ისეთი, როგორიც ვარ, ყველაზე კარგად მათ ესმოდათ ჩემი. როცა სირთულეს არ აძლევ უფლებას, დაგამარცხოს, ძლიერდები, მე გაძლიერების გზით წამოვედი.



**თქვენი აზრით, როგორ ეპყრობა საზოგადოება შეზღუდული შესაძებლობების მქონე ადამიანებს?**

ჯერ აქედან დავიწყებ, როგორ ეპყრობა საზოგადოება ზოგადად ერთმანეთს. ყველა კუთხიდან და სფეროდან გამომდინარე, ვხედავ, რომ ვერ გამოვედით ძველი შეხედულებებიდან და უკვე ფესვგადგმული მცდარი სტერეოტიპებიდან, გარკვეულწილად სტიგმატიზებული წარსულიდან. გვიყვარს ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება, რაც ცუდი გვაქვს და არც ვცდილობთ, ოდნავ მაინც შევცვალოთ დღევანდელი რეალობა უკეთესობისკენ. მე არ მიკვირს, რომ ასეთ საზოგადოებას არ ესმის ჩვენი და უმეტესად, რაც არ ესმით, არც გაგებას ცდილობენ და როცა არ ცდილობენ თავისი საკუთარი აზრი ჩამოაყალიბონ, ურჩევნიათ უკვე დრომოჭმული სტერეოტიპებით იაზროვნონ. არც მათ ქცევებში უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი დამოკიდებულება აქვთ შშმ პირების მიმართ.



**თქვენ თუ შეგქმნიათ რაიმე დაბრკოლება საზოგადოების მხრიდან, გთხოვთ, დაგვიკონკრეტოთ?**

ამჟამად, ისეთი არაფერი მახსენდება. მოგეხსენებათ, სოფელში ვცხოვრობ, მყავს მეგობრები, როგორც ყველა, ისეთი აქტიური არ ვარ, მაგრამ მაინც არ გამჭირვებია გარეთ გასვლა და საზოგადოებაში დაბრუნება, რაშიც თვითნაც შემიწყვეს ხელი.



**ლაშა, როგორც ვიცი, თქვენ ძალიან კარგად ხატავთ. თვითნასწავლი ხართ, თუ გქონდათ საშუალება მიგეღოთ შესაბამისი განათლება?**

ასე ვთქვათ, თვითნასწავლი ვარ. იყო პერიოდები, როცა რაღაც სირთულეებს ვერ ვუმკლავდებოდი და აღარ ვხატავდი, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რაღაც აუცილებლად უნდა მეკეთებინა და ისევ დავიწყე ხატვა. რამდენად კარგად ვხატავ, ეს სხვებმა უნდა შეაფასონ.

**თქვენს შემოქმედებაში ძირითადად რა თემებია გამოკვეთილი?**

ჩემი დაკვირვების ობიექტი ყოველთვის ადამიანი იყო და ახლაც ასეა. ძირითადად პორტრეტებს ვხატავ. ვცდილობ, ჩავწვდე ადამიანის შინაგან თავისებურებებს და ნახატში გამოვსახო ადამიანი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. დავინახო მისი სულიერი სამყაროც, ტკივილიც, სილამაზე, თითქოს ამ დროს ვუახლოვდები ღმერთს და ვცდილობ, ავსახო ის, რაც ღმერთს მოუცია ადამიანისთვის.

გაგრძელება



**რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში ხელოვნებას?**

ჩემი მომავალი ცხოვრება ვერც წარმომიდგენია ხელოვნების გარეშე. მინდა ბევრი ვიმუშაო ჩემს თავზეც და დავხვეწო და გავამრავალფეროვანო. სამწუხაროდ, დღეს ნაკლები ყურადღება და მხარდაჭერა აქვს ხელოვნებას ჩვენს ქვეყანაში. გვიწევს ყოველდღიურობასთან ჭიდილი და ზოგჯერ დროც აღარ გრჩება რომ ხატო. იმდენი საფიქრალია, ზოგჯერ ხატვისთვის აღარც გრჩება ძალა და ენერგია. მართალია, რაღაც გარკვეულ ხელშეწყობას და ხარჯებსაც ითხოვს ხატვა, ამისთვის საჭიროა , გქონდეს პირობებიც, განწყობაც, მაგრამ რას ვიზამთ, თუ იგრძენი ის რასაც ხატვისას ვგრძნობ, მერე ველარც სუნთქავ მის გარეშე. ჭეშმარიტი ხელოვანი, ალბათ, ყოველთვის იპოვის რაღაც გამოსავალს. მეც ვცდილობ, ვხატო, იმით რაც დღეს მაქვს, უძველეს დროშიც, ალბათ ,უწევდათ ყოველდღიურობაზე ფიქრი და თვით გადარჩენის პარალელურად ხატავდნენ გამოქვაბულებში და ჩვენამდეც მოაღწია ამ საოცარმა ნამუშევრებმა.

**ლაშა, როგორც ცნობილია, ლექსებსაც წერ, გატაცებული ხართ პოეზიით, მაგრამ ფართო საზოგადოებას ჯერ არ უხილავს თქვენი პოეზია, რას გვეტყოდით ამ საკითხზე?**

ლექსები უფრო ჩემი ჰობია. ვწერ იმ მომენტში, რასაც ვგრძნობ და რისი თქმაც მინდა. ამჟამად, უფრო მეტად ხატვით ვცხოვრობ და ვსუნთქავ, აქ უფრო ვახდენ ჩემი თავის რეალიზებას.

**რა დაბრკოლებებს აწყდებით ქუჩაში გადაადგილების დროს?**



როგორც მოგეხსენებათ, მე სოფლად ვცხოვრობ. აბსოლუტურად არც ერთი დაწესებულება, საჯარო თუ სხვა ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული არ არის. ქალაქში სადღაც რაღაც ძვრები კიდევ შეინიშნება, მაგრამ რეგიონებსა და სოფლებში კატასტროფული მდგომარეობაა. ზაფხულში კიდევ ვახერხებ გარეთ გასვლას და ვაქტიურობ, ზამთარში, წარმოუდგენელია გარეთ გასვლა.

**თქვენი აზრით, როგორ უნდა მოაგვაროს სახელმწიფომ ეს პრობლემები?**

ვფიქრობ არ მოუწევთ ველოსიპედის გამოგონება. როგორც ვიცით, ევროპის გზა ავირჩიეთ, რაც დაგვეხმარება, უკვე ევროპაში დაგროვილი და აპრობირებული მეთოდებით ვიხელმძღვანელოთ. ამისთვის უნდა არსებობდეს ნება სახელმწიფოს დონეზე, ვინც მართლა იღებს გადაწყვეტილებებს და შეიმუშაონ ჩვენზე, ქართულ რეალობაზე მორგებული მეთოდები. მეტი კონტაქტია საჭირო ჩვენსა და ხელისუფლებას შორის, თუმცა, 2013 წლის 26 დეკემბერს, ხელი მოეწერა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას. აქ საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული, თუ რა არის საჭირო, რომ გაკეთდეს შშმ პირებისათვის. ახლა ეს ყველაფერი უნდა აისახოს კანონებშიც და ყველას შეგვეძლოს, ვისარგებლოთ კანონით და ვიცოდეთ, რეალურად რის უფლება გვაქვს და რა ვალდებულზბები გააჩნია სახელმწიფოს, განსაკუთრებით, კანონის აღსრულების ნაწილში გვაქვს დიდი ხარვეზები.

**რა არის თქვენი სურვილი?**

ჩემი სურვილია, ჩვენს ქვეყანაში ყველასთვის თანაბარ გარემოში ცხოვრება. მინდა, ყველას შეგვეძლოს ჩვენი თავის თვითრეალიზაცია და სახელმწიფოს მშენებლობაში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა, ყველა ფენის, ფერის თუ სოციალური მდგომარეობის მქონე ადამიანებისთვის.

გაგრძელება →

ლაშა, მართლაც, ძალიან საინტერესო რესპოდენტია, ვნახე მისი ულამაზესი ნახატები ლაშას ჯერ პერსონალური გამოფენა არ ჰქონია.იმედია, მის ნახატებსა და ლექსებს ფართო საზოგადოება მალე გაიცნობს. მე კი ჩვენი ჟურნალის სახელით ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს.





ლექსები:

შენ ეს შესძელი, მხატვარი მქვია,
ჩემს ნახატებს სჯობდა პალიტრა,
რაღაც ახალის ძიებაში გადავიკარგე,
ალბათ ფერები არ მეყოფა, რაღაც რომ გითხრა.
გთხოვ, მაპატიე, პოეტადაც თუ ვერ ვივარგე,
შენს თავს უწოდებ სულელიო განა ცოტაა?
განა შედევრებს სულელები არ ქმნიდნენ ოდეს?
მე შენი მესმის, მეც გიჟი ვარ თავისებურაედ,
ძნელია ისე სასწაულის მართლა გჯეროდეს.

ავტორი: ლაშა მელაძე
თოვლში, წვიმაში,
თოვლში, წვიმაში, ქარში....
შენ და მე ვიქეცით წამებად,
ერთ წამში გაჩერდა წამი,
ცხოვრება ღირდა ამ წამებად.

მე შენ მაშინებ, განა წამები...
ალბათ, წამიც კი არ გიჩუქნია,
წარსულით აწმყო განაწამები
არ კი მოვმკვდარვარ, დამიჩოქნია.

მაგრამ დაჩოქვა ღირდა ამ ძალად,
ლოცვა ვედრებად მეძლვნა ღმერთისთვის,
დღეს თუ მე და შენ ასე შორსა ვართ,
რატომღა შეგვქმნა ერთმანეთისთვის?

---

ერთი გოგონას დღიური

# ზამთრის ცივ-თბილი დღე

მაკა ნათელაური

გუშინ დადებითი დღე მქონდა, რომელიც, ალბათ, ჩემს მეხსიერებაში დიდხანს ჩარჩება... სცენარის წერის კურსი განმიახლდა; საახალწლო დასვენების შემდეგ ენერგიით დატვირთულმა განვაგრძე სწავლა, ამ ფაქტმაც გამილამაზა და სხვაგვარი ეშხი შესძინა ზამთრის ცივ დღეს. საღამოს კი, მომენტი ვიხელთეთ და რაკიღა ჩვენი სახლის კიბეები აღარ გვქონდა გადასალახი, თეატრში წავედით. ის სპექტაკლი ვნახე, რომელიც ჩემს გულისთქმას შეეხმიანა–ცრემლებამდეც მიმიყვანა და ღიმილიც მომგვარა. თეატრის ფოიე ჩემთვის საკმაოდ არაკომფორტულია, ფოიეში რომ მოხვდე, კიბეები უნდა გადალახო, (ის კიბეები, რომლებიც ყველა შშმ პირს სიცოცხლეს გვიწამლავს.) მაგრამ როგორც იყო და არ იყო, თეატრის პერსონალის დახმარებით, ამ კიბეებზე ჩავედით, შევაღწიეთ ფოიეში... რატომღაც ამ ჯერად თვალში აღარ მომხვედრია გაოგნებული სახეები, რომლებიც უცნაურ კითხვას მისვამდა; ,,შენ აქ რა გინდა?"-ო, ალბათ იმიტომ, რომ დადებით ემოციებისგან ,,დაღლილს" აღარ მაინტერესებდა, ვინ როგორ მიყურებდა ან იქნებ ვცდები? იქნებ, როგორც იქნა, საზოგადოება მიეჩვია ჩვენს არსებობას და როცა დაინახავს შშმ პირს, ეს აღარ იწვევს მის აღშფოთებას? ნეტა მართლა

გაგრძელება →



ასე იყოს... ქალთა ბანდას-მე, ჩემს დას, დედაჩემს და მამიდაჩემს-საკმაოდ ადრე მოგვივიდა თეატრში მისვლა, ამიტომ მთელი ნახევარი საათი პატარა, საყვარელი ფოიე მხოლოდ ჩვენ გვეკუთოდა. ეს ნახევარი საათი უცებ გავიდა; ვიჭორავეთ, ურთიერთს ერთმანეთის დარდი და სიხარული გავუზიარეთ, ფოტოსესიაც გავმართეთ, მოკლედ, ოცდაათი წუთი ისე გაგვეპარა, რომ ვერ შევამჩნიეთ. სპეტაკლი დაიწყო თუ არა, მაშინვე, პირველ წუთიდანვე, მეც ამ თეატრალურ წარმოდენაში ჩავსახლდი, მის გმირებთან ერთად დავიწყე ცხოვრება, ყველა პერსონაჟის სიხარული და ტკივილი გავითავისე. ეს, ალბათ, იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ სპეტაკლის გმირებს შორის შშმ პირიც იყო და მისი განცდები მეახლოვა. ეს თეატრალური დადგმა მოგვითხრობს ბიჭზე, რომელიც დაუნის სინდრომის მქონეა. მას, მთელი მისი ცხოვრება, საკუთარი ძმა ატყუებს, რომ დღის შუქზე ალერგია აქვს და ამიტომ არ უშვებს გარეთ.... თომა ჩხუბის თავია, ყაჩაღი, ბნელ სამყაროშია გახვეული და თავის ძმას ამ საშუალებით არჩენს. ის და ლუკა მამამ მიატოვა, ხოლო დედა გადარცვილი ჰყავთ. ერთ დღესაც თომა სახლში მთვრალ კაცს მოათრევს, გადაწყვიტავს, რომ იოანე მძელვად აიყვანოს და მის გამოსასყლიდად თანხა მოითხოვოს. თუმცა სულ მალე აღმოაჩენენ, რომ ეს კაცი ღმერთმა გამოუგზავნა, მათ ბევრი საერთო ჰქონიათ, მამის სითბოს მოკლებულთ იოანე გაუწევს მამობას... ლუკას კი იმას შთააგონებს, რაც მას აზრადაც არ მოსვლია-გავიდეს გარეთ და დღის სინათლეს ეზიაროს... ,,მამა“ (ამ სპეტაკლს ასე ჰქვია.) თურქი რეჟისორის დადგმულია. გული იმაზეც მიჩუყდებოდა, რომ შესვენებაზე, პირველი ნაწილი რომ დასრულდა და მეორე მოქმედება დაიწყო, ამ შუალედში დარბაზიდან მომესმა ბევრი ფრაზა, რომელიც სპეტაკლის შთაბეჭდილებას მოიცავდა, ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერდა; ,,კარგი სპეტაკლია, მაგრამ.....“ მოსაუბრე წინადადებას არ ამთავრებდა, თუმცაღა ადვილი მისახვედრი იყო, რის თქმასაც აპირებდა. ასე ხდება ხოლმე, როცა ვიღაც შშმ პირის შესახებ მესაუბრება, მაგრამ არ უნდა, თითქოს ერიდება სიტყვა ,,ინვალიდი“ ან ,,შშმ პირის“ წარმოთქმას. მეც არ ვიცი, ამ სიტყვის წარმოთქმაში რა უშლით ხელს, ეს ხომ სალანძღავი სიტყვები არაა!? რა აბრკოლებს ენას, რომ ეს სიტყვები გაახმოვანოს; ზიზღი უშლის ხელს, კულტურა თუ რა, ნაღდად ვერ გამიგია. გუშინ კი, ცალსახა იყო, სიტყვა ,,თურქის“ გაჟღერებას ხელს მტრობა და ისტორია უშლიდა. ამ ორის გარდა მესამეც იყო-ეს შემდეგი აზრი გახლდათ; როგორ თუ მტერმა გვაჯობა, მათმა ხელოვნებამ საქართველოში შემოაღწია და ჩვენი მოქალაქეების გულების დაპყრობაც შეძლო!? ეს ხომ წარმოუდგენელია!? მე კი უცებ, წარმოდგენის დამთავრებისას, ერთმა სურვილმა შემიპყრო-მომინდა ქვეყნებს საზღვრები არ გააჩნდეს, დედამიწა ერთიანი სხეული იყოს და ყველას შეგვეძლოს ერთმანეთის კულტურა, ერთმანეთის ცოდნა ურთიერთს გავუზიაროთ, ურთიერთს გზა გავუნათოთ და მივეხმაროთ ცხოვრების შეცნობაში, აი ისე, როგორც მე და ჩემი და ან, რომელიმე სხვა ნათესავი, ერთმანეთს ვეხმარებით სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემების დაძლევაში. თეატრიდან რომ გამოვდიოდით, კიბეებზე ამოსვლაში ორი კაცი მოგვეხმარა; ეტლს პირველმა თურქმა წაავლო ხელი, შემდეგ მას ჩემს აყვანაში ქართველიც წაეშველა (თუმცა რიგითობას რა მნიშვნელი აქვს, რა საჭიროა ყურადღების იმაზე გამახვილება, ვინ იყო პირველი, ვინ-მეორე!?) ქუჩაში რომ გამვედით, ცხრა საათი იქნებოდა, თბილისი უკვე ღამის წიაღში იყო შეხვეული, მაგრამ ღამის სიბნელეს ლამპიონების ნათება აფრთხობდა. სიბნელეს კი შეეგუებოდა კაცი, მაგრამ სიცივეს...? არადა ძალიან ციოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ სახლში ტაქსით წამოვსულიყავით. ტაქსის ასაყვანად თავისუფლების მოედანზე გამოვედით, მაგრამ რამოდენიმე თავისუფალმა ტაქსმა ჩაიარა და არც ერთმა არ გაგვიჩერა. ბოლოს ამის მიზეზს მივხვდით და ხერხი ვიხმარეთ; მე და დედა ხეს მოვეფარეთ, ქურდებივით დავიმალეთ, მძღოლებს ეტლი, (ჩემი ,,კაბა“) რომ არ დაენახათ და მამიდაჩემი და ჩემი და დარჩნენ გზის პირას.. ჩვენმა ხერხმა გაამართლა, პირველივე ტაქსმა გაუჩერა, მაგრამ რათ გინდა? მე რომ დამინახა, მოიმიზეზა, გაზი მიყენია და ,,მაგას“ (ეტლზე მიუთითა) საბარგულში ვერ ჩავტევო, სალონი კიდე ტყავისა (მართლა ტყავის ჰქონდა.) მაქვს და ვერ გავსვრიო. კიდევ კარგი ღვთისნიერი ადამიანი მალე გამოჩნდა და სახლამდე მოგვიყვანა. აი, ასე გავიდა ზამთრის ერთი ცივ-თბილი დღე, რომელიც სხეულს მიყინავდა, სიცივე სულშიც აღწევდა, მაგრამ მაინც სიცივეს იქ დაბუდებული სითბო ჯაბნიდა და, საბოლოო ჯამში მათბობდა.

პ. ს. ჩვენს კიბეებზე რომ ამოვდიოდი, ვფქრობდი, სანამ ზამთარი არ გადავა თეატრში აღარ წავალ, მაგრამ დღეს უკვე მე და დედა ვარჩევდით ახლო მომავალში რომელი სპეტაკლი გვენახა.

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**აბიტურიენტების საყურადღებოდ!**



საქართველოს ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

1) მწვრთნელთა (კოდი 186-01)

2) ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია (კოდი186-02)

გთხოვთ გაიაროთ რეგისტრაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე www.naec.ge

რეგისტრაცია იწარმოებს 2015 წლის 17 მარტის ჩათვლით

დამატებითი კითხვების შემთხვევაში ეწვიეთ ვებ გვერდს www.sportuni.edu.ge
დაგვირეკეთ:+995 32 2250040
ან მოგვწერეთ Facebook-ზე: https://www.facebook.com/sportunigeorgia

ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში 2015-2016 სასწავლო წლისათვის

**რეაბილიტაცია**

# ცერებრული დამბლა - მასალები მშობლებისათვის
# როდის და სად დგინდება „ცერებრული დამბლის" დიაგნოზი?

**ე. კლოჩკოვა**

*გაგრძელება, დასაწყისი 1(49) 2015 წ.*

ბუნებრივია, მშობლები ყოველთვის დარდობენ იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მათი შვილის განვითარების პერსპექტივები და აწუხებთ კითხვები _ როგორ განვითარდება მათი შვილი, ხომ არ ჩამორჩება განვითარებაში, ისწავლის თუ არა ყველაფერს იმას, რასაც სხვა ბავშვები სწავლობენ? მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ მშობელს მართლაც გააჩნია სერიოზული შეშფოთების საფუძველი. თუ ბავშვი დაიბადა დროზე ძალიან ადრე, ან დაბადების შემდეგ იყო მძიმე მდგომარეობაში, რეამინაციის ან პათოლოგიის განყოფილების ექიმებმა შეიძლება გააფრთხილოს მათი შვილის განვითარებაში პრობლემების შესაძლო განვითარების შესახებ. მხოლოდ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ნერვულ სისტემას გააჩნია ძალიან დიდი პლასტიკურობა, და ამიტომ მოსალოდნელი პრობლემის ზუსტად გამოცნობა, ან ამ პრობლემის სიმძიმის ზუსტად დადგენა, არავის არ შეუძლია. ექიმმა შეიძლება გააფრთხილოს განვითარებაში დარღვევების რისკის შესახებ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვს დაბადების შემდეგ არ გააჩნია პრობლემები, მშობლები მაინც ყურადღებით ადევნებენ თვალს მის განვითარებას, ადარებენ მას უფროს დებსა და ძმებს, ნათესავებისა და მეგობრების ბავშვებს. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია. ამიტომ მათი განვითარების მსვლელობაც სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. და მაინც, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენი პატარა ჩამორჩება განვითარებას, ისე არ მოძრაობს, როგორც სხვა ბავშვები, არ ამჟღავნებს აქტიურობას, ან პირიქით, ძალიან მოუსვენარია და ეს გრძელდება უკვე რამოდენიმე დღე, აუცილებლად გაასინჯეთ ექიმს.

საბოლოო დიაგნოზისათვის აუცილებელია ჩატარდეს გამოკვლევა, სადაც კეთდება სისხლის ანალიზი, ტვინის გამოკვლევისათვის ნეიროსონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია ან მაგნიტურ _ რეზონანსული ტომოგრაფია. ამასთან ერთად საჭიროა სხვა ექიმებთან კონსულტაცია, მაგალითად, ოკულისტთან, ოტოლარინგოლოგთან, გენეტიკოსთან და ა.შ.

ჩვეულებრივ, ექიმს მაშინვე არ შეუძლია თქვას, ბავშვს ცერებრული დამბლა აქვს თუ არა, და მით უმეტეს არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს დარღვევის ფორმა და სიმძიმე.

იმდენად, რამდენადაც ცენტრალური ნერვული სისტემა ადრეული ასაკიდან იწყებს განვითარებასა და ფორმირებას (ჩამოყალიბებას), ცერებრული დამბლის სიმპტომები მის განვითარებასთან ერთად თანდათანობით ვლინდება. მაგალითად, სპასტიკურობა ვლინდება ბავშვის დაბადებიდან პირველ რამოდენიმე თვეში. ჯდომის დროს პოზის დარღვევა შესამჩნევი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პატარა დაჯ-

**გაგრძელება** →

დომას შეძლებს, თუნდაც დახმარებით. ხოლო ჰიპერკინეზია ვლინდება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, ხანდახან მოგვიანებითაც.

მშობლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდნენ _ ეს ცერებრული დამბლაა თუ არა. სინამდვილეში, სახელწოდება, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ, ბავშვისათვის სულაც არ არის ყველაზე მთავარი. მისთვის ყველაზე აუცილებელია ეფექტური დახმარების პროგრამა, ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას ყველა სფეროში, ამასთან, რაც უფრო ადრე იქნება დახმარება, მით უკეთესი.

ზოგიერთ ქვეყნებში ექიმი_სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებენ იმ მოსაზრებას, რომ საბოლოო დიაგნოზი „ცერებრული დამლის“ შესახებ არ დასვან ბავშვის სიცოცხლის პირველ წელიწადნახევარში, მაგრამ ეს სულაც არ ახდენს გავლენას ბავშვის დახმარებაზე. ჩვენს ქვეყანაში, როგორც წესი, ექიმები ძალიან ადრე ლაპარაკობენ „ცერებრული დამბლის საშიშროებაზე“, თუმცა ზუსტ დიაგნოზს სვამენ წელიწადის _ წელიწადნახევრის ასაკში.

## ცერებრული დამბლა ავადმყოფობაა თუ...?

„ცერებრული დამბლის“ განსაზღვრებაში არ არის ნახსენები სიტყვა „დაავადება“, იმიტომ, რომ ცერებრული დამბლა არ წარმოადგენს ამ სიტყვის, როგორც ზოგადსამედიცინო ტერმინოლოგიის არსში დაავადებას ან ავადმყოფობას. მაგალითად, ანგინას, როგორც ავადმყოფობას, აქვს თავის მიზეზი. ეს მიზეზია ის, რამაც ეს ავადმყოფობა გამოიწვია. ხოლო ცერებრული დამბლის წარმოშობის მრავალი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ (მოვიყვანოთ) და ყოველივე მათგანის როლი მის წარმოშობაში, რომ გამოვყოთ ძალიან ძნელია. ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას, რომელიც იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლას, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ბავშვის დაბადებიდან პირველ რამოდენიმე კვირის მანძილზე. შემდეგ კი ტვინში არავითარი პათოლოგიური პროცესები არ ვითარდებოდა, ამასთან, ცერებრული დამბლა ადამიანს გააჩნია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. დაავადების დროს კი ჩვეულებრივ, პათოლოგიური პროცესები ორგანოებში და სისტემებში გრძელდება მანამდე, სანამ ავადმყოფობა არ დამთავრდება. ამიტომ, ცერებრულ დამბლას არ მიიჩნევენ, როგორც ავადმყოფობას. ამჟამად, ცერებრული დამბლისათვის, ისევე, როგორც განვითარებაში დარღვევების სხვა სახეებისათვის, გამოიყენება ტერმინი „მდგომარეობა“.

ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება იწვევს მოძრაობითი ფუნქციის მოშლას და ამის გამო ბავშვს უჩნდება ფიზიკურ განვითარებაში ესა თუ ის შეზღუდულობა, აქვეითებს და, ხანდახან თავის მხრივ ზემოქმედებს ბავშვის ურთიერთობაზე უფროსებთან და თანატოლებთან. ზღუდავს საზოგადოებაში (რა თქმა უნდა თანატოლებთან შედარებით) მისი მონაწილეობის შესაძლებლობებს. მაგალითად, 4 წლის ბავშვს ოთხივე კიდურზე გამოხატული აქვს სპასტიკურობა და დარღვეული აქვს მოძრაობა. მას არ შეუძლია დაჯდომა და ჯდომა. ვერ დახოხავს, ვერ დგება და ვერ დადის. ეს ყველაფერი მოძრაობითი ფუნქციის დარღვევაა. ამის შედეგად მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა, თამაში და ა.შ. ეს ცხოველმოქმედების შეზღუდულობაა. ის ვერ თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად სათამაშო მოედანზე, ჯერ კიდევ არ ყოფილა ცირკში, თეატრში ან ზოოპარკში, ამიტომ არ შეუძლია ახალ სიტუაციებთან ადაპტირება ისე, როგორც მის თანატოლებს _ ეს ოთხი წლის ადამიანისთვის არის საზოგადოებაში მონაწილეობის შეზღუდულობა.

ეს ახალი ტერმინოლოგია ამჟამად გამოიყენება ბავშვის ინვალიდობის განსაზღვრისას (ექსპერტიზისას) და მისი რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენისას. ეს ტერმინები სპეციალისტებისათვის ახალია, ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა უნდა ისწავლოს ახალი ტერმინოლოგიის ენა, ბავშვის დარღვევებისა და შესაძლებლობების აღწერა, ხმარებაში არ გამოიყენოს „იარლიყები“ და წყენის მომგვრელი სიტყვები. ნებისმიერი განსაკუთრებული საჭიროების (ან განვითარებაში დარღვევების) მქონე ბავშვი აუცილებლად უნდა თამაშობდეს და ურთიერთობდეს მის გარშემო მყოფ ადამიანებთან, შეიცნოს სამყარო და იხაროს. მერე რა, რომ მისი შესაძლებლობები სხვაგვარია, ვიდრე ტიპიური განვითარების ბავშვებისა. ჩვენი ამოცანაა მას დავეხმაროთ განვითარებაში.

## შეიძლება ცერებრული დამბლის განკურნება?

ცერებრული დამბლის „განკურნების“ საკითხი, ჯადოსნური პრეპარატები, კლინიკები, სადაც გარანტირებულად „ასი პროცენტით“ კურნავენ ასეთ ადამიანებს, მუდმივად აღელვებს მათ მშობლებს. დროთა განმავლობაში ღრმად გარკვევის და ბევრი რამის სწავლების შემდეგ მშობლები მაინც ორჭოფობენ _“ იქნებ, ზუსტად ეს ის პრეპარატი, საავადმყოფო თუ ექიმია, რომელიც მოარჩენს მათ შვილს?“.

გაგრძელება →

